

თარგმანი

იური სლეზკინი

**საბჭოთა კავშირი როგორც კომუნალური ბინა, ანუ როგორ ახალისებდა
საბჭოთა კავშირი ეთნიკურ განსაკუთრებულობას**

ჟურნ. *Slavic Review*, ტომი 53, ნომერი 2 (ზაფხული, 1994), გვ. 414-452, სლავური
კვლევების ხელშეწყობის ამერიკული ასოციაცია

საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა ნაციონალისტებმა შეიმუშავეს და განახორციელეს. ლენინს მოსწონდა ნაციების და „ნაციონალური უფლებების“ რეალობა და ის ერთ-ერთი ყველაზე უკომპრომისო იყო ამ საკითხში. მისი თეორია კარგი („დაჩაგრული ნაციების“) ნაციონალიზმის შესახებ საბჭოთა კავშირის კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენდა, ხოლო მის მიერ წარმართული კომპენსატორული „ნაციის მშენებლობის“ ნეპ-ისდროინდელი პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან ენის, „კულტურის“, ტერიტორიის და კვოტების პრინციპზე დაფუძნებული ბიუროკრატის ნახალისების შთამბეჭდავად წარმატებული მცდელობა იყო. ლენინურმა გვარდიამ განაგრძო მისი საქმე (xოი ბუხარინმა 1923 წლისთვის დაასრულა თავისი თავბრუდამხვევი ნახტომი კოსმოპოლიტიზმიდან არარუსულ ნაციონალიზმამდე). „ნაციების ჭეშმარიტ მამად“ სტალინი იქცა (თუმცა არა ყველა დროის და ყველა ნაციის). 1928-1932 წლების „დიდი ტრანსფორმაცია“ ეთნიკური მრავალფეროვნების ყველაზე ექსტრავაგანტურ ზეიმად გადაიქცა, რომელიც კი ოდესმე რომელიმე სახელმწიფოს წაუხალისებია. 1930-იანი წლების შუა ხანების „დიდმა უკანდახევამ“ შეამცირა „აყვავების პროცესში მყოფ ნაციონალიზმთან“ რიცხვი, მაგრამ საფუძველი ჩაუყარა მათ უფრო ინტენსიურ კულტივაციას, რამაც ნაყოფი გამოიღო. დიდ პატრიოტულ ომს მოჰყვა ოფიციალური განმარტება, რომ კლასი მეორადი იყო ეთნიკურობასთან მიმართებაში. ზოგადად, ნაციონალიზმის მხარდაჭერა (და არა მხოლოდ რუსული ნაციონალიზმის ან „ნაციონალური გათავისუფლება“ საზღვარგარეთ) მარქსიზმ-ლენინიზმის წმინდა პრინციპს წარმოადგენდა.

თუ ეს ისტორია უცნაურად ჟღერს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ისტორიულ ანალიზს ის მეცნიერები გვთავაზობდნენ, რომლებიც ლენინის და სტალინის მოსაზრებებს იზიარებდნენ ონტოლოგიური ნაციონალიზმების თაობაზე, რომელთაც განსაკუთრებული უფლებები ჰქონდათ; ისინი ქება-დიდებათ მოიხსენიებდნენ ლენინსა და სტალინს ეროვნული კულტურების და ეროვნული კადრების ენერგიულად დანინაურებისა და ხელშეწყობისთვის, ეროვნული თვითგამორკვევისათვის და ვარაუდობდნენ, რომ „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ ბოლშევიკები, მართლაც წარმოადგენდა ლინგვისტურ/კულტურული და, ამგვარად, პოლიტიკური ავტონომიის რწმენას; ეს კი „ბურჟუაზიულ მეცნიერებს“ ნაციონალიზმად ესმოდათ. ყველა სახის არარუსული ნაციონალიზმი იმდენად ბუნებრივი იყო, ხოლო მარქსისტული უნივერსალიზმის რუსული ვერსია – იმდენად რუსული ან უნივერსალური, რომ ამ მეცნიერთა უმეტესმა ნაწილმა ვერ შენიშნა საბჭოთა რეჟიმის ქრონიკული ეთნოფილია და ის ან გარკვეულ მოცემულობად მიიღო, ან ახსნა როგორც გადახვევის, სისუსტის ან დაუდევრობის ნიშანი. ამ ნაშრომის მიზანია, გაიაზროს ეთნიკური განსაკუთრებულობის წარმოჩენის კუთხით ბოლშევიკთა მცდელობების სერიოზულობა.¹ შეურიგებლად მტრულად იყ-

¹ რა თქმა უნდა, ეს არ წარმოადგენდა ასეთ პირველ მცდელობას, თუმცა ის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ადრინდელი მცდელობებისგან და, ჩემი რწმენით, ღირდა ცდა. ძალზედ დავალებული ვარ რონალდ გრიგორ სუნის ნაშრომისგან, რომელიც ბოლო ხანს მოკლედ იქნა გადმოცემული: *The Revenge of the Past: Nationalism, Revolution and the Collapse of the Soviet Union* (Stanford: Stanford University Press, 1993). უკანასკნელი სამი ათწლეულის შესახებ იხ: Kenneth C. Farmer, *Ukrainian Nationalism in the Post-Soviet Era* (The Hague: Martinus Nijhoff, 1980); Gail Warshofsky Lapidus, „Ethnonationalism and Political Stability: The Soviet

ვნენ რა განწყობილი ინდივიდუალური უფლებებისადმი, ბოლშევიკები მხურვალედ, მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად ახალისებდნენ ჯგუფურ უფლებებს, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვეოდა პროლეტარიატის უფლებებს. „მსოფლიოს მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფო“ იყო მსოფლიოს პირველი სახელმწიფო, რომელმაც განახორციელა ეთნოტერიტორიული ფედერალიზმის ინსტიტუციონალიზაცია და მოქალაქეების კლასიფიცირება მათი ბიოლოგიური ნაციონალობების მიხედვით, ფორმალურად უზრუნველყო ეთნიკური ნიშნით განსაზღვრული კონკრეტული მოსახლეობის პრივილეგირებული მდგომარეობა.¹ როგორც ი. ვარეიკისი 1924 წელს წერდა, საბჭოთა კავშირი იყო დიდი საერთო საცხოვრებელი, სადაც „ნაციონალური სახელმწიფო ერთეულები, სხვადასხვა რესპუბლიკები და ავტონომიური პროვინციები“ „ცალკე ოთახებს“ წარმოადგენდნენ.² კომუნისტმა მემამულეებმა საკმარისად განამტკიცეს მრავალი ერთეული და არასოდეს შეუწყვეტიათ განცალკევებულობის აღნიშვნა, კომუნალიზმის პარალელურად.³

„ნაცია, – წერდა სტალინი თავისი პირველი მეცნიერული ხასიათის ნაშრომის შექმნის მცდელობისას, – წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, სტაბილურ ერთობას, რომელიც ეფუძნება საერთო ენას, ტერიტორიას, ეკონომიკურ ცხოვრებას და ფსიქოლოგიურ ნყოფას, რომელიც ვლინდება კულტურის ერთობაში“.⁴ პირველი მსოფლიო ომის საწყისი პერიოდისთვის ეს განსაზღვრება მაინცდამაინც არ იყო საკამათო სოციალისტებს შორის. არსებობდა უთანხმოება ნაციების წარმოშობის, ნაციონალიზმის მომავალი ბედის, პრე-ნაციების ბუნების, ნაცია-სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური გამოსადეგობის და ნაციების „დამახასიათებელი ნიშნების“ მეტ-ნაკლები მნიშვნელობის თაობაზე, მაგრამ ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ, კარგი იყო ეს თუ ცუდი, კაცობრიობა შედგებოდა მეტ-ნაკლებად სტაბილური *Sprachnationen*, რომელიც შეკავშირებული იყო საერთო წარსულით.⁵ ენა და ისტორია (ან *Schicksalgemeinschaft* / „bedis ერთობა“, რომელიც, ერთსა და იმავე დროს, ლინგვისტური ერთობის წინაპირობას და შედეგს წარმოადგენდა), ზოგადად, გარკვეულ მოცემულობად იყო მიჩნეული. მაგრამ, სტალინის ჩამონათვალის თვით კიდევ უფრო საკამათო ასპექტებიც კი, ჩვეულებრივ, თითქმის ყოველთვის ექსპლიციტურად თუ

Case,” *World Politics* 36, no. 4 (July 1984): 355-80; Philip G. Roeder, “Soviet Federalism and Ethnic Mobilization,” *World Politics* 23, no. 2 (January 1991): 196-233. Teresa Rakowska-Harmstone, “The Dialectics of Nationalism in the USSR,” *Problems of Communism XXIII* (May-June 1974), 1-22; და Victor Zaslavsky, “Nationalism and Democratic Transition in Postcommunist Societies,” *Daedalus* 121, no. 2 (Spring 1992): 97-121. „ნაციონალური ენების“ ხელშეწყობაზე და ბილინგვიზმზე იხ. ნაშრომი: Barbara A. Anderson და Brian D. Silver, “Equality, Efficiency and Politics in Soviet Bilingual Education Policy, 1934-1980,” *American Political Science Review* 78, No. 4 (October 1984): 1019-39; და „Some Factors in the Linguistic and Ethnic Russification of Soviet Nationalities: Is Everyone Becoming Russian?“ in Lubomyr Hajda and Mark Beissinger, eds., *The Nationalities Factor in Soviet Politics and Society* (Boulder: Westview Press, 1990). არაფედერალურ კომუნისტურ სახელმწიფოში სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ნაციონალიზმის ბრწყინვალე ანალიზისთვის იხ. Katherine Verdery, *National Ideology under Socialism: Identity and Cultural Politics in Ceausescu’s Romania* (Berkeley: University of California Press, 1991). „Some Factors in the Linguistic and Ethnic Russification of Soviet Nationalities: Is Everyone Becoming Russian?“ in Lubomyr Hajda and Mark Beissinger, eds., *The Nationalities Factor in Soviet Politics and Society* (Boulder: Westview Press, 1990).

¹ პოლიტიკური ერთობების ეთნიკური საზღვრების გარშემო გამართული ბოლოდროინდელი დებატების მიმოხილვის ბრწყინვალე ნიმუშად იხ: David A. Hollinger, “How Wide the Circle of the ‘We’? American Intellectuals and the Problem of Ethnos since World War Two,” *American Historical Review* 98, no. 2 (April 1993): 317-37.

² I.Vareikis და I.Zelenskii, *Natsional’no-gosudarsvennoe razmezhevanie Srednei Azii* (Tashkent: Sredne-Aziatskoe gosudarestvennoe izdatel’stvo, 1924), 59.

³ საპირისპირო მეტაფორის (საერთო საცხოვრებელი როგორც საბჭოთა კავშირი) მახვილგონიერი შემუშავებისათვის იხ Svetlana Boym, “The Archeology of Banality: The Soviet Home,” *Public Culture* 6, no. 2 (1994): 263-92.

⁴ I. Stalin, *Marksizm i natsional’nyi vopros* (Moscow: Politizdat, 1950), 51.

⁵ ნაციონალიზმის გარშემო ადრეული მარქსისტული დებატების შესახებ იხ. Walker Connor, *The National Question in Marxist-Leninist Theory and Strategy* (Princeton: Princeton University Press, 1984); Helene Carrere d’Encausse, *The Great Challenge: Nationalities and the Bolshevik State, 1917-1930* (New York: Holmes and Meier, 1992); Helmut Konrad, “Between ‘Little International’ and Great Power Politics: Austro-Marxism and Stalinism in the National Question,” in Richard L. Rudolph and David F. Good, eds., *Nationalism and Empire: The Habsburg Empire and the Soviet Union: Communism and Nationalism: 1917-1923* (Cambridge: Harvard University Press, 1964); Roman Szporluk, *Communism and Nationalism: Karl Marx versus Friedrich List* (New York: Oxford University Press, 1988).

არა, ლეგიტიმურად იყო მიჩნეული. ოტო ბაუერი, რომელიც შეეცადა ნაციონალიზმის ჩამოშორებას ტერიტორიისგან, ვარაუდობდა, რომ „ბედის ერთობა“ საბოლოოდ ფიზიკური ერთობის ბედი იყო. როზა ლუქსემბურგი, რომელსაც სწამდა, რომ „ნაციონალიზმის პრინციპი“ ენინალმდეგებოდა კაპიტალიზმის ლოგიკას, უფრო ფართო, „მტაცებელ“ ნაცია-სახელმწიფოებს მიიჩნევდა ეკონომიკური ექსპანსიის იარაღად, ხოლო ლენინი, რომელიც უარყოფდა „ნაციონალური კულტურის“ ცნებას, როგორც წესი, საუბრობდა „ქართველებზე“, „უკრაინელებზე“ და „დიდ რუსებზე“, რომელთაც ჰქონდათ ნაციონალური შტრიხები, ინტერესები და პასუხისმგებლობები. ნაციები შეიძლება არ ყოფილიყვნენ სასარგებლონი და მათ შეიძლება დიდხანს არ ეარსებათ, მაგრამ ახლა ისინი რეალური იყვნენ.

რადგანაც ამ საკითხს როგორც ლენინმა, ასევე სტალინმა მიაქცია ყურადღება, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნაციებს ჰქონდათ უფლებები: „ნაციას შეუძლია თავისი ცხოვრების ისე ორგანიზება, როგორც ის ამას მისთვის საჭიროდ მიიჩნევს. მას აქვს უფლება, თავისი ცხოვრება ავტონომიის საფუძვლებზე მოაწყოს, ფედერალური ურთიერთობა ჰქონდეს სხვა ნაციებთან. მას აქვს სრული გამოყოფის უფლება. ნაციები არიან სუვერენულნი და ყველა ნაცია თანასწორია“.¹ ყველა ნაცია არ იყო რაოდენობრივად თანაბარი: არსებობდნენ პატარა და არსებობდნენ დიდი (და, ამგვარად, „დიდი ძალის“) ნაციები. ყველა ნაცია არ იყო თანასწორი მათი განვითარების თვალსაზრისით: არსებობდნენ „ჩამორჩენილი“ ნაციები (უდავოდ ურთიერთსაპირისპირო სიტყვების შეხამება, როგორც ამას სტალინი აღნიშნავდა) და „ცივილიზებული“ ნაციები. ყველა ნაცია არ იყო თანასწორი მათი ეკონომიკური (ამგვარად, კლასობრივი და მორალური) კუთხით: ზოგი მათგანი „მჩაგვრელი ნაცია“ გახლდათ, ხოლო ზოგი თავად იყო „ჩაგრული“.² მაგრამ ყველა ნაცია – ყველა ნაციონალიზმა, რაც არ უნდა „ჩამორჩენილი“ ყოფილიყვნენ – თანასწორი იყო, რადგანაც ისინი თანაბრად სუვერენულნი იყვნენ, რამდენადაც ყველა მათგანს ერთი და იგივე უფლებები გააჩნდა.

რა თქმა უნდა, აქტიური და უაზრო დებატების საგანია ის, თუ რომელ სოციალიურ კლასს შეეძლო მოეთხოვა თვითგამორკვევა და რა გარემოებებში; სწორედ რომ აქტიური და უაზრო დებატების, რადგანაც რუსეთის იმპერიის ხალხების უმეტესობა კაპიტალისტური განვითარების გზაზე შორს ვერ წავიდა და, ამგვარად, ისინი არ წარმოადგენდნენ ნაციებს მარქსისტული გაგებით.³ კიდევ ერთ უსარგებლო მცდელობას წარმოადგენდა ლენინის დაჟინება „თვითგამორკვევის“ პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ და სიკვდილის წინ კამათი სტალინთან მისი პრაქტიკული განხორციელების თაობაზე საბჭოთა სახელმწიფოში. კიდევ უფრო აღსანიშნავია ლენინის და სტალინის ერთობლივი კამპანია ავტონომიის მკაცრად ტერიტორიული განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით; ეს კამპანია მათ ბუნდის და ბაუერის წინააღმდეგ გააჩაღეს, თუმცა უარი თქვეს მასზე 1917 წლის შემდეგ, რადგანაც ორივე მხარემ გაიმარჯვა (საბჭოთა ფედერალიზმი აწყვილებდა ეთნიკურობას ტერიტორიასთან და, პირველი 20 წლის მანძილზე მაინც, უზრუნველყოფდა კულტურულ უფლებებს სხვადასხვა „დარჩენილი“ დიასპორებისთვის). ამ კამპანიის ყველაზე აღსანიშნავი ასპექტი იყო იმის მტკიცება (თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა კამათის საგანი 1917 წლამდე და მის შემდეგ), რომ ყველა ტერიტორიული ერთეული შეიძლებოდა დახასიათებულიყო როგორც „შუა საუკუნეების“ ან „თანამედროვე“, სადაც მოდერნულობა განსაზღვრული იყო როგორც დემოკრატია (საზღვრები, „დაფუძნებული სახალხო სიმპათიებზე“), ხოლო დემოკრატიას მივყავდით „ყველაზე ფართო შესაძლო ჰომოგენურობამდე მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის თვალსაზრისით“.⁴ სოციალისტური სახელმწიფოს საზღვრები „დგინდებოდა მოსახლეობის ნების და „სიმპათიების“ თანახმად“, ამ სიმპათიებიდან ზოგიერთი მაინც ეთნიკურ შტრიხებს ემთხვეოდა.⁵ თუ ამას უნდა გამოეჩეკა „ნაციონალური უმცირესობები“, მათ ამასთანავე თა-

¹ Stalin, *Marksism and natsional'nyi vopros*, 51. იხ. ასევე V.I.Lenin, *Voprosy natsional'noi politiki i proletarskogo internatsionalozma* (Moscow: Politizdat, 1965), passim.

² „მჩაგვრელი“ ყოველთვის არ იყო „ცივილიზებული“, როგორც ეს იყო ნაჩვენები მარქსისტულ ანალიზში, სადაც რუსეთი პოლონეთის ან ფინეთის საპირისპიროდ იყო წარმოდგენილი.

³ Stalin, *Marksizm*, 37. შეხედულება ნაციაზე (ნაციონალიზმის საპირისპიროდ) როგორც „კონკრეტული ეპოქის ისტორიულ კატეგორიაზე, კაპიტალიზმის ზრდის ეპოქა“ გარკვეულ ტრუიზმად იქცა და განხილვის გარეშე ხელახლა დადასტურდა პარტიის X ყრილობაზე.

⁴ Lenin, „Kriticheskie zametki po natsional'nomu voprosu“ (1913), in *Voprosy*, 32-34.

⁵ იქვე, 33 და Lenin, „Itogi diskusii o samoopredelenii“ (1916), in *Voprosy*, 128.

ნაბარი სტატუსი უნდა მინიჭებოდათ.¹ და თუ თანაბარი სტატუსი (და ეკონომიკური რაციონალიზაცია) მოითხოვდა უთვალავი „ავტონომიურ-ნაციონალური ერთეულების“ შექმნას, „თუნდაც მცირე ზომისას“, მაშინ ასეთი ერთეულები უნდა შექმნილიყო და, შესაძლოა, დაწყვილებულიყო, „მრავალი გზით მათ მეზობელ სხვადასხვა ზომის ერთეულებთან“.²

რატომ უნდა შექმნილიყო ეთნოტერიტორიული ავტონომიები სოციალიზმის პირობებში, თუ სოციალისტების უმეტესობა თანხმდებოდა, რომ ფედერალიზმი „ფილისტერული იდეალი“, „ნაციონალური კულტურა“ ბურჟუაზიული ფიქცია, ხოლო ასიმილაცია პროგრესული პროცესი იყო, რომელიც „ჩლუნგ“, „ველურ“, „მთვლემარე“ გლეხს, „რომელიც მინებებული იყო თავისი ნაკელის გროვას“ (და ამის გამო ის უყვარდათ ნაციონალური კულტურის ცბიერ მცოდნეთ) ანაცვლებდა „მობილური პროლეტარიატით“?³ პირველ რიგში იმიტომ, რომ ლენინის სოციალიზმი არ იზრდებოდა ხეებზე. მის მისაღწევად ლენინის სოციალისტებს უნდა „ექადაგათ [ნაციონალური კულტურების ლოზუნგების] წინააღმდეგ ყველა ენაზე, „ადაპტირებულიყვნენ“ ყველა ლოკალური და ნაციონალური მოთხოვნის შესაბამისად“.⁴ მათ სჭირდებოდათ მშობლიური ენა, მშობლიური საგნები და ეთნიკური თანამომძვე მასწავლებლები („თვით თითოეული ქართველი ბავშვისთვის“), რათა „პოლემიკა გაემართათ „თავიანთ საკუთარ“ გლეხებთან და ბურჟუაზიასთან, გაეგრძელებინათ ანტიკლერიკალური და ანტიბურჟუაზიული იდეები „მათ საკუთარ“ გლეხებს და ბურჟუებს შორის“, განედევნათ ნაციონალიზმის ვირუსი მათი პროლეტარი მოსწავლეებისა და საკუთარი გონებებიდან.⁵ ეს იყო მისიონერული პროექტი, „ილმინსკის სისტემის“ ანალოგი, რომელიც ლენინის ახალგაზრდობისას ყაზანში ჩამოყალიბდა.⁶ „მხოლოდ მშობლიურ ენას“, ამტკიცებდა ილმინსკი, „შეუძლია ჭეშმარიტად, და არა მხოლოდ ზედაპირულად, დააყენოს ხალხი ქრისტიანობის გზაზე“.⁷ მხოლოდ მშობლიურ ენას, სწერდა სტალინი 1913 წელს, შეუძლია უზრუნველყოს „თათარი ან ებრაელი მუშის ინტელექტუალური ნიჭის სრული განვითარება“.⁸ გარდაქმნის ორივე თეორია ასკვნია, რომ „მშობლიური ენა“ სრულებით გამჭვირვალე გზას წარმოადგენდა მოციქულის გზავნილის გავრცელებისათვის. განსხვავებით უფრო „კონსერვატორი“ მისიონერებისაგან, რომლებიც კულტურას მიიჩნევდნენ მთლიან სისტემად და ამტკიცებდნენ, რომ „უცხო სარწმუნოების“ დასამარცხებლად საჭირო იყო „ბრძოლა უცხო ნაციონალიზმის წინააღმდეგ – ტრადიციების, და მთლიანად უცხო ცხოვრების შიგა წესწყობილების წინააღმდეგ“,⁹ ყაზანის რეფორმისტებს და საბჭოთა ეთნიკური პოლიტიკის მამებს სწამდათ, რომ ნაციონალიზმი არანაირ კავშირში არ იყო რწმენასთან. ლენინის თანახმად, მარქსისტულ სკოლას ექნებოდა ერთი და იგივე მარქსისტული კურიკულუმი, ლინგვისტური მედიუმის ფაქტორის მიუხედავად.¹⁰ რამდენადაც ნაციონალური კულტურა რეალობას წარმოადგენდა, ეს იყო ენისა და მცირედი „შიგა წყობის“ საკითხი: ნაციონალიზმი იყო „ფორმა“. „ნაციონალური ფორმა“ მისაღები იყო, რადგანაც არ არსებობდა ნაციონალური შინაარსი, როგორც ასეთი.

ადრეულ ეტაპზე ლენინისა და სტალინის მიერ ნაციონალიზმის (ნაციონალიზმს განსაზღვრავდნენ როგორც რწმენას ეთნიკური საზღვრების ონტოლოგიური მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ტერიტორიულად და იდეალური – პოლიტიკურად¹¹) დაცვა განპირო-

¹ Lenin, “Kriticheskie zametki,” 26.

² იქვე, 33-34.

³ იქვე, 15, 16; და Lenin, “O prave natsii na samoopredelenie” (1914), in *Voprosy*, 81 (სქოლიო), და „O natsional’noi gordosti velikorossov“ (1914), in *Voprosy*, 107.

⁴ Lenin, “Kriticheskie zametki,” 9.

⁵ იქვე, 9, 28; და „O Prave,” 61, 83-84.

⁶ Isabelle Kreindler, “A Neglected Source of Lenin’s Nationality Policy,” *Slavic Review* 36, no. 1 (March 1977): 86-100.

⁷ დამონებულია Isabelle Kreindler-თან, “Educational Policies toward the Eastern Nationalities in Tsarist Russia: A Study of the Il’minskii System”, სადოქტორო დისერტაცია, Columbia University, 1969, 75-76.

⁸ Stalin, *Marksizm*, 21.

⁹ Veniamin, Arkhipiskop Irkutskii i Nerchinskii, *Zhiznennye voprosy pravoslavnoi missii v Sibiri* (St. Petersburg: A.M. Kotomin, 1885), 7. არსებული წინააღმდეგობების შესახებ დისკუსიისათვის იხ. Yuri Slezkine, “Savage Christians or Unorthodox Russians? The Missionary Dilemma in Siberia,” in Galya Diment and Yuri Slezkine, eds., *Between Heaven and Hell: The Myth of Siberia in Russian Culture* (New York: St. Martin’s Press, 1993), 18-27.

¹⁰ Lenin, “Kriticheskie zametki,” 7.

¹¹ Cf. Ernest Gellner, *Nations and Nationalism* (Ithaca: Cornell University Press, 1983), 1; E.J. Hobsbawm, *Nations and Nationalism since 1780: Programme, Myth, Reality* (New York: Cambridge University Press, 1991), 9; John Breuilly, *Nationalism and the State* (Chicago: University of Chicago Press, 1985), 3.

ბებული იყო იმ განსხვავებებით, რომელსაც ისინი მჩაგვრელი ნაციის ნაციონალიზმსა და ჩაგრული ნაციის ნაციონალიზმს შორის ხედავდნენ. პირველი მათგანი ხანდახან განმარტებულია როგორც „დიდი სახელმწიფოების შოვინიზმი“, მეორე კი ლეგიტიმურად, თუმცა კი წარმავალად მიიჩნეოდა; პირველი რიცხოვრივი უპირატესობის უსამართლო შედეგს წარმოადგენდა, მეორე კი რეაქცია იყო დისკრიმინაციასა და დევნაზე; პირველის გამორიცხვა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვების შედეგად, რასაც თან მოჰყვებოდა თვითდისციპლინა და თვითგანმენდა; მეორე შესაძლებელი იყო დაშოშმინებულიყო თანაგრძობით და ტაქტიით.¹ შესაბამისად, თვითგამორკვევისა და ეთნოტერიტორიული ავტონომიის ლოზუნგები სინანულის ყესტს წარმოადგენდნენ. ისინი მხოლოდ „ფორმის“ სახით ვლინდებოდნენ. „უმცირესობა უკმაყოფილო იყო არა იმიტომ, რომ არ არსებობდა [ექსტრატერიტორიული] ნაციონალური ერთობა, არამედ იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება, გამოეყენებინათ მშობლიური ენა. მშობლიური ენის გამოყენების უფლების მიცემა თავისთავად მოაგვარებდა უკმაყოფილებას“.² რაც უფრო მეტ უფლებებსა და შესაძლებლობებს მიიღებდა ნაციონალური უმცირესობა, უფრო მეტი „ნდობა“ ექნებოდა მას ყოფილი მჩაგვრელი ნაციის პროლეტარიატისადმი. „ფორმის“ ნამდვილ თანასწორობას უნდა გამოეყვინა ნაციონალიზმის ისტორიულად შესაძლებელი ბუნება და მის საფუძველში არსებული კლასობრივი შინაარსის ერთიანობა.³

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის „პრაქტიკამ“ ვერ შეცვალა ეს პროგრამა. ახალი ბოლშევიკური მთავრობის ადრეული დადგენილებები მოიხსენიებდა გამარჯვებულ მასებს – “ხალხებსა” და „ნაციებს“, რომელთაც ჰქონდათ „უფლებები“;⁴ ყველა ხალხს აცხადებდა თანასწორად და სუვერენულად და სუვერენიტეტს უზრუნველყოფდა ეთნოტერიტორიული ფედერაციითა და სეცესიის უფლებით; ისინი ადასტურებდნენ „ნაციონალური უმცირესობების და ეთნიკური ჯგუფების თავისუფალ განვითარებას“ და პირობას დებდნენ, რომ პატივს სცემდნენ ნაციონალურ რწმენას, ტრადიციებს და ინსტიტუტებს.⁵ ომის დასასრულისთვის, ადგილობრივი მოკავშირეების და არსებული ერთობების (ზოგჯერ ეთნიკურად განსაზღვრული) აღიარების საჭიროება იურიდიულად აღიარებული საბჭოთა რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური რეგიონებისა და მშრომელთა კომუნების (რომლებიც სულ უფრო მეტად განისაზღვრებოდა ეთნიკური ნიშნით) შექმნის პრინციპს დაუკავშირდა. ზოგიერთი ავტონომია უფრო ავტონომიური გამოდგა, ვიდრე სხვა, მაგრამ „ნაციონალიზმა“ უზენაეს პრინციპად დარჩა. „ამ ხალხების უმეტესობას არაფერი ჰქონდა საერთო, გარდა იმ ფაქტისა, რომ ადრე ყველანი ისინი წარმოადგენდნენ რუსეთის იმპერიის ნაწილს, ახლა კი ყველა გათავისუფლდა რევოლუციით. თუმცა მათ შორის არ არსებობდა შიგა კავშირები“.⁶ ლენინისეული პარადოქსის თანახმად, ყველაზე საიმედო გზა შინაარსობრივი ერთობისაკენ ფორმის მრავალფეროვნებაზე გადიოდა. „ნაციონალური კულტურების დანერგვის [насаждать национальные культуры]“ და ნაციონალური ავტონომიების, სკოლების, ენების და ნაციონალური კადრების შექმნის მეშვეობით, ბოლშევიკები გადალახავდნენ ნაციონალურ უნდობლობას და მიაღწევდნენ ნაციონალურ აუდიტორიამდე. „ჩვენ ვაპირებთ დაგეხმაროთ თქვენი ბურიატული, ვოტიაკური და სხვ. ენებისა და კულტურების განვითარებაში, რადგანაც ამ გზით თქვენ მალე ეზიარებით ზოგადსაკაცობრიო კულტურას, რევოლუციას და კომუნიზმს“.⁷

მრავალი კომუნისტისთვის ეს უცნაურად ჟღერდა. ნუთუ ნაციები არ შედგებოდნენ სხვადასხვა კლასისაგან? განა პროლეტარიატის ინტერესები ნაციონალ(ისტი) ბურჟუაზიის ინტერესებზე უზენაესი არ უნდა ყოფილიყო? ნუთუ ყველა ქვეყნის პროლეტარები არ უნდა გაერთიანებულიყვნენ? და განა ალყაში მოქცეული საბჭოთა კავშირის შემქმნელები უფრო მეტი გამბედაობით არ უნდა გაერთიანებულიყვნენ? 1918 წლის გაზაფხულზე მ.ი.ლაცისმა გააკრიტიკა „ფედერალიზმის აბსურდულობა“ და აღნიშნა, რომ „რესპუბლიკების წარმოქმნის“ უსასრულობის აბსურდულობა,

¹ Lenin, “O’ natsional’noi programme RSDRP” (1913), in *Voprosy*, 41; idem, “O prave,” 61-62, 102; idem, “Sotsialisticheskaia revoliutsiia i pravo natsii na samoopredelenie” (1916), in *Voprosy*, 113-14.

² Stalin, *Marksizm*, 163. იგივე მართებული იყო ნაციონალური სკოლებისათვის, რელიგიის თავისუფლება, მოძრაობის თავისუფლება და ა.შ.

³ Lenin, “Itogi diskusii o samoopredelenii” (1916), in *Voprosy*, 129.

⁴ “ხალხი” და „ნაცია“ ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენებოდა.

⁵ *Dekrety Sovetskoi vlasti* (Moscow: Gospolitizdat, 1957), 1: 39-41, 113-15, 168-70, 195-96, 340-44, 351, 367.

⁶ S.Dimanshtein, “Narodnyi komissariat po delam natsional’nostei,” *Zhizn’ natsional’nostei* 41 (49) (26 October 1919).

⁷ S.Dimanshtein, “Sovetskaia vlast’ i melkie natsional’nosti,” *Zhizn’ natsional’nostei* 46 (54) (7 December 1919). ასევე იხ. S.Pestkovskii, “Natsional’naia kul’tura,” *Zhizn’ natsional’nostei* 21(29) (8 June 1919).

განსაკუთრებით კი ისეთი „განუვითარებელი ეთნიკური ჯგუფებისა“, როგორც იყვნენ თათრები ან ბელორუსები, საშიში იყო მათი შეუსაბამობის გამო.¹ 1919 წლის ზამთარში ა.ა.იოფე მიუთითებდა მზარდ ნაციონალურ მიდრეკილებებზე და მოუწოდებდა „ბუფერულ რესპუბლიკებს“ „სეპარატიზმის დასრულებისკენ“.² ხოლო 1919 წლის გაზაფხულზე, პარტიის მე-8 ყრილობაზე, ნ.ი.-ბუხარინმა და გ.ლ.პიატაკოვმა ყოვლისმომცველი შეტევა განახორციელეს ნაციონალური თვითგამორკვევის ლოზუნგზე და მის შედეგზე, რომელიც არარუსულ ტერიტორიებზე ეთნიკურობის კლასზე მაღლა დაყენებაში გამოიხატებოდა.³

ლენინის პასუხი ჩვეულებრივ მტკიცე იყო. პირველ რიგში, ნაციები „ობიექტურ“ მოცემულობას წარმოადგენდნენ. „თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ჩვენ არ ვაღიარებთ ფინურ ნაციას, არამედ მხოლოდ ვაღიარებთ მშრომელ მასებს, ეს ძალზედ სასაცილო იქნება. იმის არაღიარება, რაც რეალურად არსებობს, შეუძლებელია: ის გვაიძულებს ჩვენ მის აღიარებას“.⁴ გარდა ამისა, წარსულში მჩაგვრელ ნაციებს სჭირდებოდათ ადრე ჩაგრული ნაციების ნდობის მოპოვება.

ბაშკირები არ ენდობიან დიდ რუსებს, რადგანაც დიდი რუსები უფრო კულტურულნი არიან და ისინი საკუთარი კულტურის უპირატესობას იყენებდნენ ბაშკირების გასაძარცვად. ამგვარად, იმ შორეულ მხარეებში სახელი „დიდი რუსი“ აღნიშნავდა „მჩაგვრელს“, და „თალღოს“. ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია. შეუძლებელია მისი გაუქმება ბრძანებულებით. აქ დიდი სიფრთხილე გვმართებს. ხოლო ისეთმა ნაციამ, როგორც დიდი რუსებია, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რადგანაც მან ასეთი სასტიკი სიძულვილი გამოიწვია ყველა სხვა ნაციაში.⁵

დაბოლოს, ჩამორჩენილმა ნაციებმა ვერ შეძლეს „პროლეტარიატის განცალკევება ბურჟუაზიული ელემენტებისაგან“ და, ამგვარად, მათ ვერ ეყოლებათ რევოლუციური კლასები, რომლებიც მუდმივად მტრულად იქნებიან განწყობილი „მათი მოღებისადმი“.⁶ მთლიანობაში, უფრო „კულტურულ“ ნაციებთან შედარებით, ისინი შეიძლება იყვნენ ლეგიტიმური პროლეტარები, მხოლოდ იმ ღირსების გამო, რომ ისინი მოტყუებული და დაჩაგრული იყვნენ. იმპერიალიზმის პირობებში („როგორც კაპიტალიზმის უმაღლეს და საბოლოო ეტაპზე“) კოლონიური ხალხები დასავლური მუშათა კლასის გლობალურ ეკვივალენტად იქცნენ. (რუსი) პროლეტარების დიქტატურის პირობებში, კოლონიალიზმის ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ჭრილობების მოშუშებამდე, მათ განსაკუთრებით ეპყრობოდნენ. ამავე დროს, ნაციები და კლასები გაიგივებულ იქნენ.

ლენინმა დაკარგა არგუმენტი, მაგრამ მოიგო ხმები; როგორც ტომსკი აღნიშნავდა, „არავინ იტყოდა, რომ ნაციონალური თვითგამორკვევა ან ნაციონალური მოძრაობები ნორმალური ან სასურველი მოვლენა იყო“, ხალხის უმეტეს ნაწილს სჯეროდა, რომ ისინი წარმოადგენდნენ იმ „აუცილებელ ბოროტებას“, რომლის შეწყნარებაც მართებდათ.⁷ შესაბამისად, დაუბრკოლებლად გრძელდებოდა ბრძოლა ნაციონალური სტატუსისა და ეთნოტერიტორიული აღიარებისთვის. თათრები განსხვავდებოდნენ ჩვეულებებით, ანბანით და ლექსიკით, შესაბამისად, მათ სჭირდებოდათ სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული.⁸ ჩუვაშები ღარიბები იყვნენ და არ საუბრობდნენ რუსულად, ამგვარად, მათ სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული უნდა ჰქონოდათ.⁹ იაკუტები იმსახურებდნენ საკუთარ სახელმწიფოს, რადგანაც ისინი კომპაქტურად სახლობდნენ და მზად იყვნენ „საკუთარი ცხოვრება მათივე ძალისხმევით შეექმნათ“.¹⁰ „პრიმიტიული ტომები“,

¹ A.P.Nenarokov, *K edinstvu ravnykh: Kul'turnye factory ob'edinitel'nogo dvizheniia sovetskikh narodov, 1917-1924* (Moscow: Nauka, 1991), 91-92.

² იქვე, 92-93.

³ *Vos'moi s'ezd RKP(b): Protokoly* (Moscow: Gospolitizdat, 1959), 46-48, 77-81.

⁴ იქვე, 55.

⁵ იქვე, 106.

⁶ იქვე, 53. იმავე გამოსვლაში ლენინი ამტკიცებდა, რომ თვით ყველაზე „დანიშნულებული“ დასავლური ქვეყნები უიმედოდ ჩამორჩებოდნენ საბჭოთა რუსეთს სოციალური დიფერენციაციით (რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი შეიძლებოდა და, ზოგჯერ, უნდა მიჩნეულიყვნენ კიდევ მთლიანად ნაციებად და არა დროებით იზოლირებული კლასობრივი ბრძოლის ველად). საბჭოთა რუსეთი უფრო განვითარებულად მიიჩნეოდა, ვიდრე განვითარებული დასავლეთი.

⁷ იქვე, 82.

⁸ Fedor Kriuchkov, "O Kriashenakh," *Zhizn' natsional'nostei* 27 (84) (2 September 1920).

⁹ R.El'mets, "K voprosu o vydelenii Chuvash v osobuiu administrativnuiu edinitsu," *Zhizn' natsional'nostei* 2 (59) (11 January 1920).

¹⁰ V.Vilenskii (Sibiriakov), "Samoopredelenie iakutov," *Zhizn' natsional'nostei* 3 (101) (2 February 1921).

რომლებიც იაკუტების მეზობლად ცხოვრობდნენ, ასევე იმსახურებდნენ საკუთარ სახელმწიფოს, რადგან ისინი ცხოვრობდნენ ფართოდ გაფანტულ ერთობებად და არ იყვნენ მზად იმისათვის, რომ საკუთარი საქმეები თავადვე წარემართათ.¹ ციმბირის ესტონელ მოსახლეობას ჰქონდა სალიტერატურო ტრადიცია და საჭიროებდა სპეციალურ ბიუროკრაციას, რომელიც მათ გაზეთებით უზრუნველყოფდა.² ციმბირის მკვიდრ უგრელებს არ გააჩნდათ სალიტერატურო ტრადიცია და სჭირდებოდათ „დამოუკიდებელი მმართველობა“, რათა „განმანათლებლობის სხივი ბნელი მასებისაკენ მიმართულიყო, მათი ცხოვრების წესის კულტივირებისათვის [культивировать их быт жизни]“.³ ადგილობრივი ინტელექტუალები, ეროვნულ საკითხთა კომისარიატის ოფიციალური პირები, „ადგილობრივთა კონფერენციები“ და პეტროგრაფელი ეთნოგრაფები, ყველა მოითხოვდა ინსტიტუციურ ავტონომიას, ოფისებს და დაფინანსებას (მათთვის და მათი პროტექტებისათვის). ავტონომიის მიღების შემდეგ ისინი უფრო მეტ თანამდებობებს და დაფინანსებას ითხოვდნენ.

დაფინანსება მწირი იყო, მაგრამ ავტონომიური ტერიტორიები და თანამდებობები კიდევ უფრო მრავლდებოდა. ეთნოტერიტორიული ერთეულები, საკუთარი ბიუროკრაციით და (თეორიულად მაინც) „მშობლიური ენაზე“ განათლების მიღების შესაძლებლობით, წარმოადგენდნენ ნაციონალურ ერთეულებს ნაციონალურ ერთეულებში, ნაციონალურ სექციებს პარტიულ ქსელში და ადგილობრივ საბჭოებში და ნაციონალურ კვოტებს უნივერსიტეტებში. 1921 წელს, პოლონელებმა მიღეს 154.000 ახლად გამოცემული წიგნი მათ მშობლიურ ენაზე; აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას ჰქონდა ირანული, გერმანული, ბერძნული და ებრაული სექციები; განათლების კომისარიატი მოსკოვში 14 ნაციონალურ ბიუროს აერთიანებდა; ხოლო რუსეთში არსებულ 103 ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას საქმიანობა ესტონურ ენაზე უნდა წარემართათ.⁴

რამდენიმე საკამათო საკითხი მაინც რჩებოდა. ეროვნულ საკითხთა კომისარიატის ერთ-ერთი ოფიციალური პირის თანახმად, ლინგვისტური პრეტენზიები არ მოიტანდა შედეგს იმ ნაციონალური ჯგუფებისთვის, რომლებიც „სუსტი, ჩამორჩენილი და დანინაურებული კულტურის ზღვაში გაფანტული იყვნენ“. ამგვარად, „მშობლიური ენის მუდმივად და ნებისმიერ ფასად დაცვისა და განვითარების ტენდენციას, რომლის ერთადერთი მიზანი ერთენოვანი განათლების სიმეტრიული, გეომეტრიულად სრული სისტემის შექმნა იყო, მომავალი არ გააჩნდა და არ ითვალისწინებდა ჩვენი ეპოქის რთულ და მრავალფეროვან სოციალურ-კულტურულ კომპოზიციას“.⁵ სხვები ამტკიცებდნენ, რომ დროს მოჰქონდა ეკონომიკური რაციონალიზმი და ეთნიკური ერთეულები უნდა გადაეფარა ან შეეცხო მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ ერთეულებს, რომლებიც დაფუძნებული იქნებოდა გარემოს, ინდუსტრიულ და კომერციულ ინტერესებზე. თუ სამხედრო ზონები კვეთდნენ ნაციონალურ საზღვრებს, იგივე დასაშვები იყო ეკონომიკური ერთეულებისთვის.⁶

ასეთი არგუმენტები არამარტო უგულვებელყოფილი იყო. 1922 წლიდან მოყოლებული, ისინი იდეოლოგიურად მიუღებელი გახდა. ლენინის ჟინი, სტალინის ეროვნულ საკითხთა კომისარიატის ბიუროკრატია, პარტიული გადაწყვეტილებების ტრადიცია და ეთნიკური ინსტიტუტების გამრავალფეროვნების კანონიერი ინტერესები „ნაციონალიზმის საკითხად“ კრისტალიზდა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ ველარ დადგებოდა; ამგვარად, როდესაც პარტიის მე-10 ყრილობამ ინსტიტუციონირებული ეთნიკურობის პოლიტიკის ლეგიტიმაცია მოახდინა, მისთვის აღარავის უწოდებია „გარდაუვალი ბოროტება“ და, მით უმეტეს, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. რაც მე-10 ყრილობამ (და კონკრეტულად სტალინმა) გააკეთა, ეს იყო ნაციონალური ჩაგვრის და კოლონია-

¹ V.G. Bogoraz-Tan, “O pervobytnykh plemenakh,” *Zhizn' natsional'nostei* 1 (130) (10 January 1922); *idem*, “Ob izuchenii i khrane okrainnykh narodov,” *Zhizn' natsional'nostei* 3-4 (1923); 168-177; Dan Ianovich, “Zapovedniki dlia gibnushchikh tuzemnykh plemen,” *Zhizn' natsional'nostei* 4 (133) (31 January 1922); TsGAOR, f. 1377, op. 1, d. 8, II. 126-27, d. 45, II, 53, 77, 81.

² “Chetyre goda raboty srednei estontsev Sovetskoi Rosii,” *Zhizn' natsional'nostei* 24 (122) (5 November 1921).

³ TsGAOR, f. 1318, op. 1, d. 994, 1. 100.

⁴ *ob. Zhizn' natsional'nostei* (1921) და TsGAOR, f. 1318.

⁵ L.Segal', “Vserossiiskoe soveshchanie rabotnikov po prosveshcheniiu narodov ne-russkogo iazyka,” *Zhizn' natsional'nostei* 33(41) (31 August 1919).

⁶ I. Trainin, “Ekonomicheskoe raionirovanie i natsional'naia politika,” *Zhizn' natsional'nostei* 21 (119) (10 October 1921); S.K., “Ekonomicheskoe raionirovanie i problem avtonomno-federativnogo stoitel'stva,” *Zhizn' natsional'nostei* 25 (123) (12 November 1921).

ლიზმისაგან გათავისუფლების ლენინისეული თემების ურთიერთდაკავშირება; „ნაციონალური საკითხის“ გაიგივება ჩამორჩენილობის პრობლემასთან და საკითხის წარმოდგენა „დიდ რუსებსა“ და „არა დიდ რუსებს“ შორის დაპირისპირებად. დიდი რუსები მიეკუთვნებოდნენ დანიანურებულ, ყოფილ დომინანტ ნაციას, რომელსაც ჰქონდა ნაციონალური სახელმწიფოებრიობის საიმედო ტრადიცია და ხშირად ამჟღავნებდა ეთნიკურ ამპარტავნებას და შეურიგებლობას, რომელიც ცნობილია როგორც „ველიკოდერჟავული შოვინიზმი“. ყველა სხვა ნაციონალობები, რომლებიც ნეგატიურად და კოლექტიურად განისაზღვრებოდნენ როგორც „არადიდი რუსები“, ცარისტული რეჟიმის მიერ წართმეული სახელმწიფოებრიობის მსხვერპლი იყვნენ, ცარიზმის მიერვე ჩამორჩენილებად და „უკულტურობად“ [некультурность] მონათლულნი, რაც აძნელებდა მათთვის რევოლუციური მიღწევებითა და შესაძლებლობებით სარგებლობას და ხშირად უზიძვებდა „ლოკალური ნაციონალიზმისაკენ“.¹ სტალინის ფორმულირებით, „რსფსრ-ში ნაციონალური საკითხის არსი აერთიანებდა ჩამორჩენილობის (ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული) დაძლევის, რომელიც ნაციებს მემკვიდრეობით ერგოთწარსულიდან; ჩამორჩენილ ხალხს საშუალება უნდა მისცემოდა, დასწეოდა ცენტრალურ რუსეთს“.² ამ მიზნის მისაღწევად, პარტია ეხმარებოდა მათ:

ა) საკუთარი საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და გაძლიერებაში იმ ფორმით, რომელიც შეესაბამებოდა ამ ხალხების ნაციონალურ ფიზიონომიას; ბ) საკუთარი სასამართლოსა და სტრუქტურების შემოღებაში, რომლებიც იმუშავებდა მშობლიურ ენაზე და დაკომპლექტდებოდა ადგილობრივი ხალხით, ვისთვისაც ნაცნობი იქნებოდა ადგილობრივი ხალხის ცხოვრება და მენტალობა; გ) პრესის, სკოლის, თეატრის, ადგილობრივი კლუბების და სხვა კულტურული და საგანმანათლებლო ინსტიტუტების შექმნაში მშობლიურ ენაზე.³

უნდა ეარსება იმდენ ნაცია-სახელმწიფოს, ავტონომიის სხვადასხვა ხარისხით, რამდენი ნაციონალობაც (არა ნაცია!) არსებობდა რსფსრ-ში. მომთაბარეები მიიღებდნენ იმ მიწებს, რომელიც კაზაკებმა დაკარგეს და „ნაციონალურ უმცირესობებს“, რომლებიც გაფანტული იყვნენ კომპაქტურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, გარანტირებული ექნებოდათ „თავისუფალი ნაციონალური განვითარება“ (რომელიც უზიძვებდა ტერიტორიული ერთეულების შექმნისაკენ).⁴ ეთნიკურობის ეს ტრიუმფი, შესაძლოა, ყველაზე თვალსაჩინოდ სტალინის მიერ წარმოჩინდა, როგორც პროგრესის მიზეზი და შედეგი. ერთი მხრივ, „თავისუფალი ნაციონალური განვითარება“ არარუსული ჩამორჩენილობის დაძლევის ერთადერთი გზა იყო; მეორე მხრივ კი, შეუძლებელი იყო ისტორიის წინააღმდეგ წასვლა. თუმცა, რუსული ელემენტები ჯერ კიდევ ჭარბობს უკრაინულ ქალაქებში და, ამკარაა, რომ თანდათან ეს ქალაქები გარდაუვლად გახდებიან უკრაინული. დაახლოებით ორმოცი წლის წინ რიგა გერმანული ქალაქი იყო, მაგრამ რადგანაც ქალაქები იზრდებიან სოფლების ხარჯზე, სოფლები კი ნაციონალობას ინარჩუნებენ, რიგა დღესდღეობით წმინდა ლატვიური ქალაქია. დაახლოებით 50 წლის წინ, უნგრეთის ყველა ქალაქი, თავისი ხასიათით, გერმანული იყო, მაგრამ ახლა ისინი მაგარიზებული არიან. იგივე მოხდება ბელორუსიაში, რომლის ქალაქებშიც დღესდღეობით არაბელორუსები ჭარბობენ.⁵ რადგან ასე ხდება, პარტია გააორმაგებს ნაციის მშენებლობის მცდელობებს, რადგან „ქალაქებში კომუნისტური მუშაობის გაჩაღებისათვის აუცილებელია გაჩნდეს ახალი პროლეტარი – ბელორუსი მშობლიური ენით“.⁶

როგორი „დიალექტიკურიც“ არ უნდა ყოფილიყო ოფიციალური პოლიტიკის ლოგიკა, მისი პრაქტიკა ფრიად ცხადი და 1921 წლისთვის უკვე მკაფიოდ განსაზღვრული გახლდათ. გარკვეული აზრით, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დაწყება მეათე ყრილობაზე ყველა სხვა საქმიანობის უკვე „ნეპ-ის მსგავსი“ ნაციონალური პოლიტიკის დონემდე „დამცრობის“ ტოლფასი იყო. ნეპ-ი წარმოადგენდა დროებით, მაგრამ გამიზნულ შერიგებას „ჩამორჩენილობასთან“, რომელიც წარმოდგენილი იყო გლეხობის, ვაჭრების, ქალების და, ზოგადად, ყველა არარუსი ხალხის, კონკრეტულად კი სხვადასხვა „პრიმიტიული ტომების“ სახით. სხვა მრავალ სტრუქტურას შორის არსებობდა სპეციალური განყოფილებები: ქალების დეპარტამენტი, ებრაელთა სექცია, ჩრდილოეთ

¹ Desiatyi s'ezd Rossiiskoi Kommunisticheskoi partii: Stenograficheskii otchet (Moscow: Gosudarstvennoe izdatel'stvo, 1921), 101.

² იქვე.

³ იქვე, 371.

⁴ იქვე, 372.

⁵ იქვე, 115.

⁶ “Beloruskii natsional'nyi vopros i kommunisticheskaiia partiia,” Zhizn' natsional'nostei 2 (131) (17 January 1922);

სასაზღვრო მიწებზე მცხოვრები ხალხების ხელშეწყობის კომიტეტი. ჩამორჩენილობა უსასრულოდ კვლავ წარმოიქმნებოდა და წარსულის თითოეული ნაშთი მოითხოვდა ფაქიზ და „მამობრივ მზრუნველობაზე“ დაფუძნებულ ინდივიდუალურ მიდგომას, „კონკრეტულ თავისებურებათა“ გათვალისწინებით. საბოლოო მიზანს ყველა სახის ჩამორჩენილობის და, ამგვარად, ყველა განსხვავების მოსპობა წარმოადგენდა. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა გადადებული იყო განუსაზღვრელი ვადით. ძალისმიერი გზა „საშიში“ და „უტოპიური“ იქნებოდა – როგორც სხვა მხრივ „მონიფული და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული თანამებრძოლების“ მოუთმენლობა ცენტრალური აზიიდან, რომელთაც იკითხეს: „რა ხდება? კიდევ რამდენ ხანს უნდა ავიტანოთ ცალკე ავტონომიების წარმოქმნის პროცესი?“¹ პარტიის პასუხი ბუნდოვანი, მაგრამ კატეგორიული იყო: „იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება“, რა დროც დასჭირდება „ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის..., ეკონომიკური განსხვავებულობის, განსხვავებული ტრადიციების (განსაკუთრებით იმ ნაციონალობებში, რომელთაც ჯერ არ მიეღწიათ კაპიტალისტური ეტაპისთვის) და ლინგვისტური განსხვავებების“ დაძლევა.² ამავე დროს, ნაციის მშენებლობა იმ დიად მიზანს წარმოადგენდა, რომელიც ქების ღირსი იყო. განსხვავებაში იყო სილამაზე.

არსებობდა ერთი გამონაკლისი. წარსულის ერთი კონკრეტული გადმონაშთის მიმართ დამოკიდებულება შემწყნარებლური, მაგრამ არასაგანგებოდ ხაზგასმული უნდა ყოფილიყო, ის უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ არ წაეხალისებინათ. ეს იყო რუსი გლეხი. ნეპ-ის ალიანსი გლეხობასა და მუშათა კლასს შორის ასახავდა მსგავს დამოკიდებულებას სხვა „განუვითარებელ“ ჯგუფებთან, თუმცა მისი ოფიციალური მიზანი სრულიად განსხვავებული იყო. „გლეხური ელემენტი“ აგრესიული იყო, გადამდები და საშიში. არავის სჯეროდა, რომ მისი ველური ბუნება დიალექტიკურად დაიშლებოდა და გაქრებოდა განვითარების შედეგად, რადგანაც ჯიუტ „მთვლემარე“ რუს გლეხს არ ძალუძდა გლეხად განვითარება (ეს „შინაარსობრივი“ განსხვავება იყო). ეთნიკურობის გათანაბრებით განვითარებასთან და ქვეყნის მოსახლეობის დაყოფით რუსებად და არარუსებად, მეათე ყრილობამ აღიარა და განამტკიცა ეს განსხვავება. რუსი ნაციონალობა განვითარებული იყო, ის იყო დომინანტური და, ამგვარად, არარელევანტური. რუსული ტერიტორია არ იყო „შემოსაზღვრული“ და, რეალურად, შედგებოდა იმ მიწებისაგან, რომლებზეც პრეტენზიას არ აცხადებდნენ არარუსები, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც „ნაციონალობები [националы]“. მიქოიანის სანინალმდეგო მტკიცება, რომ სრულიად აშკარა იყო აზერბაიჯანის საგრძნობი კულტურული და ეკონომიკური დანინაურება „ბევრ სხვა რუსულ პროვინციასთან შედარებით“ და რომ სომხური ბურჟუაზია ისეთივე იმპერიალისტური იყო, როგორც ნებისმიერი სხვა, უარყოფილ იქნა სტალინის და ყრილობის მიერ.³

„ლენინის უკანასკნელმა გაბრძოლებამ“ ნაციონალური საკითხის გამო ვერ შეცვალა ოფიციალური კურსი.⁴ სტალინის, ძერჟინსკის და ორჯონიკიძის „ველიკორუსული შოვინიზმით“ (ისინი იყვნენ „რუსები“ მათი ქვეყნითა და საქმით და არა ნაციონალური წარმომავლობით) შემოფოთებულმა და აღელვებულმა, უკვე ავადმყოფმა ლიდერმა იგივე წამალი გამოწერა: ინტერნაციონალიზმი რუსების მხრიდან „უნდა ყოფილიყო არა ნაციების ფორმალური თანასწორობა, არამედ გარკვეული სახის უთანასწორობა დიდი მწაგვრელი ნაციის ხარჯზე, რომელიც მოახდენდა ცხოვრებაში არსებული დე-ფაქტო უთანასწორობის კომპენსირებას“.⁵ ეს მოითხოვდა უფრო მეტ, გაცილებით მეტ, „სიფრთხილეს, პატივისცემას და დათმობას“ „შეურაცხყოფილი“ ნაციების მიმართ; უფრო გაცნობიერებულ (და, შესაბამისად, არაშოვინისტურ) პროლეტარიატს რუსულ აპარატში, უფრო მეტი ყურადღების გამახვილებას არარუსული ენების ფართო და მუდმივ გამოყენებაზე.⁶ 1923 წლის აპრილში, პარტიის მე-12 ყრილობამ სათანადოდ დაადასტურა ეს შეხედულება ისე, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენა არც ძველი სტრატეგია და არც ახალი აუცილებლობა (ერთადერთი დელეგა-

¹ Vareikis and Zelenskii, *Natsional'no-gosudarstvennoe razmezhevanie*, 57.

² იქვე, 60. „ნაციები, რომლებმაც ჯერ ვერ მიაღწიეს კაპიტალისტურ ეტაპს“, სტალინის განსაზღვრების თანახმად, ნაციებს არ წარმოადგენდნენ.

³ *Desiatyi s'ezd*, 112, 114.

⁴ ორი განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის იხ: Moshe Lewin, *Lenin's Struggle* (New York: Pantheon, 1968); და Richard Pipes, *The Formation of the Soviet Union: Communism and Nationalism, 1917-1923* (Cambridge: Harvard University Press, 1954).

⁵ V.I.Lenin, „K voprosu o national'nostiakh ili ob 'avtonomizatsii,“ in *Voprosy*, 167.

⁶ იქვე, 168-170.

ტი, რომელიც შეენინა აღმდგეა ნაციონალური განვითარების ორთოდოქსულობას, ერთი რიგითი მუშა – როგორც თავად უნოდებდა თავს – იყო, რომელმაც მოკრძალებულად მოიხსენია მარქსისეული კოსმოპოლიტი პროლეტარიატი და ზინოვიევის ლანძღვა დაიმსახურა¹. ექსპერტთა ორი უკიდურესი მოსაზრების მიხედვით, სტალინი ამტკიცებდა, რომ რუსული შოვინიზმი „მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა“ („პრობლემის ცხრა მეათედი“) იმ დროს, როდესაც, ბუხარინის თანახმად, ეს ერთადერთი საფრთხე იყო.² ნაციონალური წარმომადგენლობის და ეთნოტერიტორიული ფედერაციის პრობლემების გადაწყვეტის გზები მრავალფეროვანი იყო, მაგრამ „ლენინის ნაციონალური პოლიტიკის“ პრინციპები უცვლელი რჩებოდა (სტალინის „ავტონომიზაციის გეგმა“ უფრო მეტი ცენტრალიზაციისკენ იყო მიმართული „ყველა არსებით საკითხში“, მაგრამ, ამავე დროს, ისეთ არა-არსებით საკითხებს, როგორც იყო „ენა“ და „კულტურა“, არსებულ მოცემულობად განიხილავდა და მას „რესპუბლიკების შიდა ჭეშმარიტი ავტონომიის“ გადასაჭრელ პრობლემად მიიჩნევდა“).³ ქართული საკითხის ხმაურთანმა განხილვამაც კი ბევრი ახალი არაფერი შესძინა ამ პრობლემას; „განაწყენებული ნაციონალები“ ჩიოდნენ შეუწყნარებლობისა და „დიდმპყრობელური შოვინიზმის“ გამო, ყურადღებას ამახვილებდნენ ქართული ენის დომინანტობაზე და ნაციონალობის წახალისების მნიშვნელოვან წარმატებაზე (ორჯონიკიძის თანახმად, ქართველები შეადგენდნენ თბილისის მოსახლეობის 25 პროცენტს, მაგრამ ქალაქის საბჭოს 43 პროცენტს, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის 75 პროცენტს, აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 91 პროცენტს და რესპუბლიკური საბჭოსა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 100 პროცენტს).⁴ ყრილობაზე ინიცირებული ერთადერთი, ჭეშმარიტად თეორიული ინოვაცია არ განხილულა და იგი არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა: ლენინის ეპისტოლარული ბრალდებებისგან თავდასაცავად, სტალინმა მიქოიანის ძველი პოზიცია დაიკავა და შეეცადა, ერთი მხრივ, რუსებისთვის ჩამოერთმია მათი მონოპოლია იმპერიალიზმზე, ხოლო, მეორე მხრივ, განესაზღვრა „ლოკალური ნაციონალიზმი“ როგორც ველიკოდერჟავული შოვინიზმის მცირე ნაირსახეობა. ქართველები ავინრობდნენ აფხაზებს და ოსებს, აზერბაიჯანელები აშინებდნენ სომხებს, უზბეკები იგნორირებას უკეთებდნენ თურქმენებს და ა.შ. ფაქტობრივად, სტალინის ძირითადი არგუმენტი ამიერკავკასიის ფედერაციიდან საქართველოს გამოყოფის წინააღმდეგ მიმართულ იქნა ქართველი ოფიციალური პირების საეჭვო კამპანიის წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი სომხების დეპორტაცია და „თბილისის გადაქცევა რეალურ ქართულ დედაქალაქად“.⁵ ეს იმას ნიშნავდა, რომ კიევის უკრაინიზაცია და მინსკის ბელორუსიზაცია არც იმდენად კარგი იდეა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ყრილობის დიდმა უმრავლესობამ ან ვერ გაიგო სტალინის აზრი, ან მისი იგნორირება არჩია. „ველიკოდერჟავული შოვინიზმი“ რუსებისათვის შემოინახეს, „ადგილობრივი ნაციონალიზმი“ ანტირუსული უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ საფრთხე შეექმნა, ხოლო ნაციონალური ტერიტორიები ეკუთვნოდა იმ ნაციონალობებს, რომელთა სახელსაც ისინი ატარებდნენ.

მაგრამ რა იყო „ნაციონალობა?“ თებერვლის რევოლუციის დროს, „რელიგიური რწმენა“ იყო ის ერთადერთი მახასიათებელი, რომელიც მიენერა ყველა იმპერიულ სუბიექტს – იქნებოდა ეს რუსული ნაციონალური იდენტობა თუ მეფის დინასტიის ლეგიტიმურობა, რომელიც მეტწილად ორთოდოქსობასთან იყო დაკავშირებული. არც მეფის ყველა ქვეშევრდომი და არც ყველა ორთოდოქსი მორწმუნე იყო რუსი, მაგრამ ყველა რუსი უნდა ყოფილიყო მათი ორთოდოქსი მეფის ორთოდოქსი სუბიექტი. არაორთოდოქსებს უნდა ემსახურათ თავიანთი მეფისადმი, რამდენადაც ის იყო იმპერატორი, მაგრამ მათ არ ჰქონდათ იმუნიტეტი სარწმუნოების შეცვლისაკენ მიმართული პერიოდული კამპანიების დროს და კანონით ეკრძალებოდათ შერეული ქორწინებები. ზოგიერთი არაორთოდოქსი ლეგალურად იდენტიფიცირდა როგორც „უცხო“ (*иностранцы*) – ეს ცნება ეტიმოლოგიურად („არა-ადგილობრივი“, „არა-მშობლიური“) გენეტიკურ განსხვავებებს გულისხმობდა, მაგრამ იგი, ჩვეულებრივ, ინტერპრეტირდებოდა როგორც „არა-ქრისტიანი“ ან „ჩამორჩენილი“. ეს ორი ცნება ასახავდა *სხვის* მოსკოვურ („პრემოდერნულ“) და პეტრესეულ („მოდერნულ“) გაგებას და ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენებოდა. ზოგიერთი გაქრისტიანებული საზოგადოება

¹ *Dvenadtsatyi s'ezd Rossiiskoi Kommunisticheskoi partii (bol'shevikov). Stenograficheskiy otchet* (Moscow: Glavpolitprosvet, 1923), 462, 552.

² იქვე. 439-54, 561-65.

³ დამონმებულია Nenarokov, *K edinstvu*, 116-17.

⁴ *Dvenadtsatyi s'ezd*, 543-45.

⁵ *Ibid.*, 449.

ძალზე ჩამორჩენილი იყო იმისთვის, რომ „რეალური ქრისტიანები“ ყოფილიყვნენ და ყველა უცხო ფორმალურად კლასიფიცირდებოდა მათი რელიგიის („მუსლიმი“, „ლამაისტი“) ან „ცხოვრების წესის“ მიხედვით, რომელიც გაგებულ იყო როგორც განვითარების ხარისხი („მკვიდრი“, „მომთაბარე“, „მოხეტიალე“). სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული განათლების გავრცელების, „აღმოსავლელ უცხოებთან“¹ მიახლოების, დასავლელი არარუსების ავტონომიური საგანმანათლებლო ინსტიტუტების კონტროლის (და გარუსების) თანმიმდევრული მცდელობების შემდეგ, „მშობლიური ენა“ ასევე იქცა პოლიტიკურად მნიშვნელოვან კატეგორიად. ამავე დროს, ენების სახელები ყოველთვის არ ემთხვეოდა კოლექტიურ სახელებს, რომელსაც სხვადასხვაგვარად განსაზღვრული ერთობები იყენებდნენ თვითდასახელებად ან სხვათა სახელად. რუსეთმა რევოლუციამდე აღწერა ნაციონალობები, ნაციონალისტური პარტიები და ნაციონალური „საკითხები“, მაგრამ მას არ გააჩნდა ოფიციალური შეხედულება იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენდა ნაციონალობა.

თებერვლის რევოლუციამდე (ზუსტად ერთი დღით ადრე ნიკოლოზ II მოგილევში გამგზავრებამდე და ლოკაუტით დაზარალებული პუტილოვის მუშების პეტროგრადის ქუჩებში გამოსვლამდე) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს.ფ. ოლდენბურგი წერდა საგარეო საქმეთა მინისტრ ნ.ნ. პოკროვსკის, რომ „პატრიოტული მოვალეობის გრძნობით“ მოტივირებულ მის კოლეგებს და მას სურდათ კომისიის ჩამოყალიბება რუსული სასაზღვრო ზონების ტომობრივი შემადგენლობის შესწავლის მიზნით.

რუსეთის საზღვრების ორივე მხარეს მდებარე, მტრულ სახელმწიფოებთან მოსაზღვრე ტერიტორიების ტომობრივი შემადგენლობის სრულყოფილი განსაზღვრა ძალზე მნიშვნელოვანია მოცემული მომენტისთვის, რადგანაც მსოფლიო ომი მეტწილად ნაციონალური საკითხის გამო მიმდინარეობს. სხვადასხვა ნაციონალობების მხრიდან წამოყენებული ტერიტორიული პრეტენზიების მიზანშეწონილობის განსაზღვრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს, რადგანაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საზღვრები გარკვეული სტრატეგიით და პოლიტიკური მოსაზრებებით გაივლება, ნაციონალური ფაქტორი კვლავაც ძალზედ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.²

დროებითი მთავრობის არსებობის დროს ნაციონალურმა საკითხმა შიგა ტერიტორიებზეც გადაინაცვლა და ახალ კომისიას დაევალა არა მხოლოდ სასაზღვრო მიწების, არამედ რუსეთის მთელი მოსახლეობის შესწავლა. ბოლშევიკების დროს „საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის არსი“ მხოლოდ „ეთნოგრაფიული და ადმინისტრაციული საზღვრების თანხვედრაში“ მდგომარეობდა,³ რაც იმას ნიშნავდა, რომ იმპერიული ტერიტორიების უდიდესი უმრავლესობა უნდა დაყოფილიყო სასაზღვრო მიჯნებად და პროფესიონალ ეთნოგრაფებს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ.

ტერმინოლოგიის განხილვის დრო აღარ იყო. *უცხოელებსა და ქრისტიანებს* ჩაენაცვლა ხალხების (*народы*), მცირედ და განუვითარებლად მიჩნეული ხალხების (*народности*), ნაციონალობების (*национальностями*), ნაციების (*нации*) და ტომების დაუნანვერებელი ერთობა. არ არსებობდა საზოგადო თანხმობა იმის თაობაზე, თუ რამდენად მტკიცე (და, ამდენად, ტერიტორიულად სიცოცხლისუნარიანი) იყო ეს ერთობები. კომისიის კავკასიის სექციის თავმჯდომარე ნ. ი. მარი ნაციონალობას მიიჩნევდა მეტისმეტად „გარდამავალ“ და კომპლექსურ კატეგორიად იმისათვის, რომ იგი გამოყენებული ყოფილიყო „პრიმიტიული ტერიტორიული დემარკაციისათვის“; თუმცა, ის ბევრად უფრო ძლიერად, ვიდრე სხვა რომელიმე კატეგორია, წარმოაჩინდა „თავდაპირველ ეთნიკურობას“ და „ჭეშმარიტ ტომობრივ შემადგენლობას“.⁴ ყველაზე ხშირად „ტომობრივი შემადგენლობის მარკერად“ ენა გამოიყენებოდა. პარტიის იდეოლოგები იცავდნენ „მშობლიურ ენაზე განათლების უფლებას“, რომელიც მათი ნაციონალური პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენდა; განათლების სფეროს

¹ იხ. მაგალითად, *S'ezd po narodnomu obrazovaniu*, „Zhurnal Ministerstva narodnago prosvieshcheniia“ L (March-April 1914): 195, 242-44.

² *Ob uchrezhdenii Komissii po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii, Izvestiia Komissii po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii* (Petrograd: Rossiiskaia Akademiia Nauk, 1917), 1:8.

³ I. Gertsenberg, „Natsional'nyi printsip v novom administrativnom deleni RSFSR,“ *Zhizn' natsional'nostei* 37 (94) (25 November 1920).

⁴ N. Ia. Marr, *Plemennoi sostav naseleniia Kavkaza: Trudy Komissii po izuchenii plemennogo sostava naseleniia Eossii* (Petrograd: Rossiiskaia Akademiia nauk, 1920), 3: 9, 21-22. აგრეთვე იხ: N. Ia. Marr, „Ob iafeticheskoi teorii,“ *Novyi vostok* 5 (1924): 303-9.

ოფიციალური პირები „ნაციონალური კულტურის ლინგვისტური განსაზღვრებიდან“ ამოდიოდნენ;¹ ეთნოგრაფებიც ენას მიმართავდნენ, როგორც ეთნიკურობის ყველაზე საიმედო, თუმცა არა უნივერსალურ ინდიკატორს. ე.ფ. კარსკი, ავტორი ნაშრომისა *ბელორუსი ტომების ეთნოგრაფიული რუკა*, მშობლიურ ენას მიიჩნევდა ნაციონალური განსხვავების „ექსკლუზიურ კრიტერიუმად“ და ამტკიცებდა, რომ ლიტვლები, რომლებიც ბელორუსულ ენაზე საუბრობდნენ, ბელორუსებად უნდა მიჩნეულიყვნენ.² კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი იყო ის ფაქტი, რომ ცენტრალური აზიის სარტები (ჩვეულებრივ, ასე განისაზღვრებოდნენ ბინადარი ცხოვრების წესის მქონე მუსლიმები) საერთოდ არ იხსენიებოდნენ; ამავე დროს, პამირის სხვადასხვა თემი „ტაჯიკად“ იქცა, ხოლო უზბეკების დეფინიცია უფრო რადიკალური გახდა, რათა მას მოეცვა სამარყანდის, ტაშკენტის და ბუხარის თურქულენოვანი ხალხები.³ თუმცა, ენა მაინც მიიჩნეოდა არასაკმარის ფაქტორად და 1926 წლის აღწერა მოიცავდა ორ არათანაბარ კატეგორიას – „ენას“ და „ნაციონალობას“, რაც აფიქსირებდა ხალხის დიდ რაოდენობას, რომლებიც არ საუბრობდნენ „მათ საკუთარ ენაზე“. ასეთი ერთობები ეთნოგრაფების მიერ „დენაციონალიზებულად“⁴ იქნენ მიჩნეული, პარტიული თანამდებობის პირები და ადგილობრივი ელიტები კი მათ არსებობას ბოლომდე არ აღიარებდნენ: ფიქრობდნენ, რომ რუსულად მოლაპარაკე უკრაინელები ან უკრაინულად მოსაუბრე მოლდაველები ისწავლიდნენ მათ მშობლიურ ენას, ხანდახან მათ ამას აიძულებდნენ კიდევ, მიუხედავად იმისა, იცოდნენ თუ არა მათმა დედეებმა, როგორ უნდა ესაუბრათ ამ ენაზე.

რა აქცევს „დენაციონალიზებულ“ რურიტანელებს რურიტანელებად? უფრო ხშირად ეს იყო „მატერიალური ცხოვრების“, „უნარ-ჩვევებისა“ და „ტრადიციების“ კომბინაცია, რომელთა ერთობლიობა „კულტურად“ იწოდება. როდესაც საქმე ეხებოდა ისეთ ტერიტორიებს, სადაც „რუსული“ და „ბელორუსული“ დიალექტები ერთმანეთს ერეოდა, კარსკი განასხვავებდა ორ ნაციონალობას, ტანსაცმელსა და არქიტექტურას შორის არსებული განსხვავებების საფუძველზე.⁵ ამის მსგავსად, მარი განარჩევდა ირანულ ენაზე მოლაპარაკე ოსებს და თალიშებს, როგორც ჩრდილოკავკასიელებს (იაფეტის შთამომავლებს), მათი „ეთნიკური კულტურის“, „განსაკუთრებული სახალხო რელიგიის“, „ცხოვრების წესის“ და „კავკასიასთან ემოციური კავშირების“ საფუძველზე.⁶ ზოგჯერ როლიგია-როგორც-კულტურა გადანონიდა ენას და იქცეოდა მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ ეთნიკურ მარკერად, მაგალითად, მაშინ, როდესაც კრიაშენებმა (თათრულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიანები) მიიღეს მათი საკუთარი „დეპარტამენტი“ და აჭარლებმა (ქართულ ენაზე მოსაუბრე მუსლიმები) – საკუთარი რესპუბლიკა (მარის მიერ მსგავსი მონოდება სომხურად მოსაუბრე ხემშილი მუსლიმების სახელით წარუმატებელი აღმოჩნდა).⁷ კულტურები, რელიგიები და ენები შეიძლება განმტკიცდეს ტოპოგრაფიით (მთაში და ბარში მოსახლე კავკასიელების დიქტომია) და ქრონოლოგიური უპირატესობით (კავკასიის შემთხვევაში, ადგილობრივისა და მოსულის დიქტომია არ ემთხვეოდა პროგრესზე დაფუძნებულ დიქტომიას, როგორც ეს იყო ციმბირის შემთხვევაში).⁸ ფიზიკური („რასობრივი“, „სომატური“) ტიპი არასოდეს გამოიყენებოდა და-

¹ „ყველაზე მდიდარი ასოციაციები და ძლიერი აღქმები მშობლიური ენის მეშვეობით იქმნება“ (Segal, „Vserossiiskoe soveshchanie“).

² E.F. Karskii, *Ethnograficheskaia karta Bieloruskogo plemeni: Trudy Komissii po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii*, vol. 2 (Petrograd: Rossiiskaia Akademiia nauk, 1917).

³ I.I. Zarubin, *Spisok narodnosti Turkestanskogo kraia: Trudy Komissii po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii*, vol. 9 (Leningrad: Rossiiskaia Akademiia nauk, 1925); I.I. Zarubin, *Naselenie Samarkandskoi oblasti: Trudy Komissii po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii*, vol. 10 (Leningrad: AN SSSR, 1926); Edward A. Allworth, *The Modern Uzbeks: From the Fourteenth Century to the Present* (Stanford: Hoover Institution Press, 1990), 181; Alexandre Benningsen and Chantal Lemerrier-Quelquejay, *Islam in the Soviet Union* (New York: Praeger, 1967), 131-33; Teresa Rakowska-Harmstone, *Russia and Nationalism in Central Asia: The Case of Tadjikistan* (Baltimore: Johns Hopkins University Press, 1970), 78.

⁴ *Instruktsiia k sostavleniiu plemennykh kart, izdavaemykh Komissiei po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii: Trudy Komissii po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii* (Petrograd: Rossiiskaia Akademiia nauk, 1917), 1:11.

⁵ Karskii, *Etnograficheskaia karta*, 19.

⁶ N. Ia. Marr, *Plemennoi sostav naseleniia Kavkaza: Trudy Komissii po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii* (Petrograd: Rossiiskaia Akademiia nauk, 1920), 9: 24-25; N. Ia. Marr, *Talyshi: Trudy Komissii po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii* (Petrograd: Rossiiskaia Akademiia nauk, 1922), 4: 3-5, 1922.

⁷ Marr, *Plemennoi sostav*, 9.

⁸ იქვე, 59-61, Cf. S.K. Patkanov, *Spisok narodnosti Sibiri: Trudy Komissii po izucheniiu plemennogo sostava naseleniia Rossii* (Petrograd: Rossiiskaia Akademiia nauk, 1923), 7: 3.

მოუკიდებლად, მაგრამ ზოგჯერ – განსაკუთრებით კი ციმბირში – მათ მიმართავდნენ სხვა განმასხვავებელი ნიშნების განსამტკიცებლად.¹ დაბოლოს, არც ერთი ეს მახასიათებელი იქნებოდა გადამწყვეტი სტეპის მომთაბარეების შემთხვევაში, რომელთა „ნაციონალური ცნობიერება“ ან „ტომობრივი თვითიდენტიფიკაცია“ იმდენად ძლიერად იყო მიჩნეული, რომ ნებისმიერ სხვა კრიტერიუმს უსარგებლოს ხდიდა. შესაძლებელი იყო ლინგვისტური, კულტურული და რელიგიური განსხვავებების უარყოფა ყაზახებს, ყირგიზებს და თურქმენებს შორის, მაგრამ მათი კლანური გენეალოგია იმდენად ცხადი იყო და იმდენად მტკიცედ თანამიმდევრული, რომ ეთნოგრაფთა უმეტესობას, მათი გათვალისწინების გარდა, სხვა არჩევანი არ გააჩნდა.²

რა თქმა უნდა, ახალი ეთნიკური ერთეულების რეალური საზღვრები არ შეესაბამებოდა მეცნიერთა მიერ რეკომენდებულ საზღვრებს. ყაზახი ხელმძღვანელები მოითხოვდნენ ტაშკენტს, უზბეკ ხელმძღვანელობას ოშის რეგიონის ავტონომია სურდა, ხოლო მოსკოვში არსებული ცენტრალური კომიტეტი ქმნიდა სპეციალურ საარბიტრაჟო კომისიებს.

ამის შედეგად, ყირგიზებმა (ანუ ყაზახებმა) უარი თქვეს თავიანთ პრეტენზიებზე ტაშკენტზე, მაგრამ უფრო მტკიცედ მოითხოვეს, რომ ტაშკენტის უზბედის სამი ვოლოსტი ყაზახეთის შემადგენლობაში მოქცეულიყო. თუკი ეს მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდებოდა, იმ არხების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ტაშკენტს კვებავდა, ჩაიკეტებოდა ყირგიზეთის ტერიტორიაზე; გარდა ამისა, ყირგიზული ვარიანტის მიღება გადაკეტავდა ცენტრალური აზიის სარკინიგზო ხაზს ყირგიზული სოლით, ტაშკენტის სამხრეთით 17 ვერსის დაშორებით.³

ასეთი უცნაური და ახირებული სტრატეგია, ან „ნაციონალური ინტერესების გათვალისწინება“ (ყაზახეთი vs. უზბეკეთი), აგრეთვე უფრო ჩვეულებრივი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტები სხვადასხვა დონეზე, გავლენას ახდენდა ეთნოტერიტორიული ერთეულების საბოლოო ფორმაზე. თუმცა, უდავოა, რომ განმსაზღვრელი კრიტერიუმი ეთნიკურობა იყო. „ნაციონალიზმის“ სხვადასხვა რამეს ნიშნავდა სხვადასხვა მხარეში, მაგრამ უმეტესი რეგიონების საზღვრები ჭეშმარიტად „ნაციონალურად“ მიიჩნეოდა; ისინი *ტომობრივი შემადგენლობის შემსწავლელი კომისიის* მიერ დადგენილი ეთნოგრაფიული საზღვრების იგივეობრივი იყო. ბოლშევიკი ხელმძღვანელები მოსკოვში ეთნიკურობის ლეგიტიმაციას მიიჩნევდნენ ეთნიკური უკმაყოფილებისა და განვითარების სირთულეებისადმი დათმობად და არა *დაყავი და იბატონე*-ს ბრწყინვალე პრინციპის განხორციელებად; ლენინის და სტალინის შემდეგ, ისინი დარწმუნებით ამტკიცებდნენ, რომ, რაც უფრო ჭეშმარიტი და ნამდვილი იქნებოდა „ნაციონალური დემარკაცია“, მით უფრო წარმატებული იქნებოდა სვლა ინტერნაციონალიზმისაკენ.

მოკლე დროით პერსპექტივაში, ნაციონალური დემარკაცია აისახა არეული და, ერთი შეხედვით, უსასრულო ეთნიკური თოჯინების კოლექციაში. ყველა არარუსები *ნაციონალიზმებს* წარმოადგენდნენ, რომელთაც უნდა ჰქონოდათ საკუთარი ტერიტორიული ერთეული, ხოლო ყველა ნაციონალურად განსაზღვრული ჯგუფი, რომელიც „ვილაც სხვის“ ერთეულში ცხოვრობდა, ნაციონალურ უმცირესობად განიხილებოდა, რომელთაც მათი საკუთარი ერთეულის ფლობის უფლება ჰქონდა. 1928 წლისთვის სხვადასხვა რესპუბლიკები მოიცავდნენ ნაციონალურ *ოკრუგებს*, ნაციონალურ *რაიონებს*, ნაციონალურ *საბჭოებს*, ადგილობრივთა აღმასრულებელ კომიტეტებს (тузрики), ადგილობრივთა საბჭოებს (туземные советы), აულების საბჭოებს, კლანურ (клановые) საბჭოებს, მომთაბარეთა (кочевые) საბჭოებს და ბანაკის კომიტეტებს (лагеркомы).⁴ ჰქონდათ რა უსაფრთხოების გარანტია მათ საზღვრებში, ყველა საბჭოთა ნაციონალიზმს ახალისებდნენ, განვითარებინა და, თუ საჭირო იყო, შეექმნა საკუთარი ავტონომიური კულტურა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო მშობლიური ენის, როგორც „სოციალური დისციპლინის, ნაციების სოციალური

¹ მაგალითად, Patkanov “Paleoasiatics”-ის შესახებ იხ., Patkanov, *Spisok*, 8.

² Vl. Kun, “Izuchenie etnicheskogo sostava Turkestana,” *Novyi vostok* 6 (1924): 351-53; Zarubin, *Spisok*, 10.

³ I. Khodorov, “Natsional’noe rezhimezhvanie Srednei Azii,” *Novyi vostok* 8-9 (1926): 69.

⁴ იხ. მაგალითად, S. Dimanshtein, “Desiat’let nationalnoi politiki partii i sovlasti,” *Novyi vostok* 19 (1927): vi; “Vremennoe polozhenie ob upravlenii tuzemnykh narodnostei i plemen Severnykh okrain,” *Severnaia Azia* 2 (1927): 85-91; N.I. Leonov, “Tuzemnye sovety v taiga i tundrakh,” *Sovetskii Secer: Pervyi sbornik statei* (Moscow: Komitet Severa, 1929), 225-30; Zvi Y. Gitelman, *Jewish Nationality and Soviet Politics: The Jewish Sections of the CPSU, 1917-1930* (Princeton: Princeton University Press, 1972), 289; Gerhard Simon, *Nationalism and Policy toward the Nationalities in the Soviet Union: From Totalitarian Dictatorship to Post-Stalinist Society* (Boulder: Westview Press, 1991), 58.

შეკავშირების საშუალების, წარმატებული ეკონომიკური და კულტურული განვითარების აუცილებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობის¹ ფართო გამოყენებისაკენ გადადგმული ნაბიჯი. “მშობლიური ენა” ნაციონალური ავტონომიების შექმნის ძირითადი პრინციპი და მათი ფორმირების მთავარი განმსაზღვრელი იყო. ნაციონალურ ენად შეიძლებოდა მიჩნეულიყო კონკრეტული რესპუბლიკის ოფიციალური ენა (რომელიც ყოველთვის რესპუბლიკის სახელით აღინიშნებოდა²), კონკრეტული უმცირესობის ერთეულის ოფიციალური ენა და/ან ცალკეული ინდივიდების მშობლიური ენა. ტერიტორიული ერთეულების გამრავლება იმის მანიშნებელი იყო, რომ უმეტესი ინდივიდებისთვის იარსებებდა ოფიციალური ენა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გამოიწვევდა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ ტრილინგვიზმს (1926 წელს აფხაზურ ენაზე მოსაუბრე აფხაზეთში, რომელიც ქართულ ენაზე მოსაუბრე საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა, არსებობდა 43 სომხური, 41 ბერძნული, 27 რუსული, 2 ესტონური და 2 გერმანული სკოლა³). სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1920-იან წლებში იდენტიფიცირებული 192 ენა ადრე თუ გვიან ოფიციალურ ენად გადაიქცეოდა.

თუმცა, ოფიციალურ ენად გადაქცევამდე, ენას სჭირდებოდა „მოდერნიზება“. ეს მოიცავდა სალიტერატურო სტანდარტის შექმნას ან შემდგომ კოდიფიკაციას, რომელიც „ცოცხალ სახალხო ენას“ უნდა დაფუძნებოდა და გამოსახულიყო „რაციონალური“ ფონეტიკური ანბანით (ყველა არაბული და ზოგიერთი კირილიცური დამწერლობის სისტემა შეიცვალა ლათინურით), რომელიც „გაინმინდებოდა უცხო ბალასტისგან“.⁴ განმეინდა – ან ინსტიტუციონალიზებული ლინგვისტური სინმინდე – მნიშვნელოვანი იყო, რადგან, თუ ნაციონალობები, განსაზღვრების მიხედვით, კულტურულად განსხვავებულნი იყვნენ (ფორმით) და თუ ენა „ერთი ნაციონალობის მეორისაგან ყველაზე მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა“, მაშინ ენები ერთმანეთისაგან მაქსიმალურად განსხვავებული უნდა გამხდარიყვნენ.⁵ ცენტრალური ხელისუფლების მიერ წახალისებული ადგილობრივი ინტელექტუალები (ან, სადაც ამის მიღწევა შეუძლებელი იყო, მეტროპოლიის მეცნიერები, რომლებიც „მათ ხალხზე“ ზრუნავდნენ) ქმნიდნენ ლინგვისტურ საზღვრებს. სადამწერლობო უზბეკურის და თათრულის გამომგონებლები ომს უცხადებდნენ „არაბიზმს და ფარსიზმს“, სტანდარტული უკრაინულის და ბელორუსულის შემქმნელები „რუსიზმის“ წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ხოლო ელიტების არმქონე „მცირე ხალხების“ დამცველები ახლად შექმნილი ჩუქჩების ენას ინგლისური ნასესხებებისგან ათავისუფლებდნენ.⁶ თათარი მწერლებისა და ჟურნალისტების მიერ მიღებული ხუთი თეზისიდან პირველი ორი შემდეგნაირად იკითხებოდა:

1. თათრული სალიტერატურო ენის ძირითადი მასალა უნდა შედგებოდეს მშობლიური ენიდან აღებული ელემენტებისაგან. თუკი საჭირო სიტყვა არსებობს თათრულ ენაში, ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიცვალოს უცხო ეკვივალენტით.
2. თუკი სიტყვა არ არსებობს თათრულ ენაში, სადაც კი ეს შესაძლებელია, იგი უნდა ჩანაცვლდეს: ა) ახალი, ხელოვნური სიტყვით, რომელიც შედგება იმ ფუძისაგან, რომელიც ჩვენს ენაში არსებობს; ბ) ძველი თურქული სიტყვიდან ნასესხები სიტყვით, რომელიც აღარ გამოიყენება, ან იმ მონათესავე თურქული ტომების ლექსიკონიდან აღებულით, რომლებიც სახლობენ რუსულ მიწებზე, რადგანაც ისინი ადვილად ასიმილირდებიან.⁷

¹ I.Davydov, “O problem iazykov v prosvetitel’noi rabote sredi natsional’nostei,” *Prosveshchenie natsional’nostei* I (1929): 18.

² „მთიელთა“ რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ, ერთადერთ ავტონომიურ რესპუბლიკას, რომელსაც არ გააჩნდა ეთნიკური „მამული“ და, შესაბამისად, ოფიციალური ენა, დაღესტანი წარმოადგენდა, რომელიც ლინგვისტურად ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი ადგილი იყო დედამიწაზე (იხ: A. Takho-Godi, “Problema iazyka v Dagestane,” *Revoliutsiia I natsional’nosti* 2 [1930]: 68-75).

³ V.A. Gurko-Kriazhin, “Abkhazia,” *Novyi vostok* 13-14 (1926): 115.

⁴ კონკრეტულად იხ: William Fierman, *Language Planning and National Development: The Uzbek Experience* (Berlin: Mouton de Gruyter, 1991); and Simon Crisp, “Soviet Language Planning Since 1917-53,” in Michael Kirkwood, ed., *Language Planning in the Soviet Union* (New York: St.Martin’s Press, 1989), 23-45. ციტატა მოტანილია Agamalyogly, “K predstoiashchemu tiurkologicheskomu s’ezdu v Azerbaidzhane,” *Novyi vostok* 10-11 (1925): 216.

⁵ Davydov, “O problem iazykov,” 18.

⁶ მაგალითად იხ. Fierman, *Language Planning*, 149-63; James Dingley, “Ukrainian and Belorussian – A Testing Ground,” in Kirkwood, ed., *Language Planning*, 180-83; V.G. Bogoraz-Tan, “Chukotskii bukvar,” *Sovetskii Sever* 10 (1931): 126.

⁷ I.Borozdin, “Sovremennyi Tatarstan,” *Novyi vostok* 10-11 (1925): 132.

სხვადასხვა ოფიციალური ენები, სათანადოდ კოდიფიცირებული და აშკარად განცალკევებული ერთმანეთისაგან (და არა მხოლოდ ლექსიკონების მეშვეობით¹), შეიძლება გამოყენებულ იქნენ „მშრომელ ნაციებთან“ დასაახლოებლად. 1928 წლისთვის ნიგნები გამოიცემოდა 66 ენაზე (შედარებისთვის: მათი რიცხვი 1913 წლისთვის 40-ით განისაზღვრებოდა) და გაზეთები – 47 ენაზე (სულ 205 არარუსული დასახელების გაზეთი²). რამდენი ადამიანი კითხულობდა მათ, სრულეზით არ იყო მნიშვნელოვანი: სხვა საბჭოთა კამპანიის მსგავსად, მიწოდებას უნდა შეექმნა მოთხოვნა (ან მიმწოდებლებს უნდა შეექმნათ ის). უფრო ამბიციური იყო მოთხოვნა, რომ ყველა ოფიციალური საქმიანობა, მათ შორის განათლება, მშობლიურ ენებზე წარმართულიყო (როგორც ეპონიმიური რესპუბლიკების, ასევე ადგილობრივი ერთობების ენებზე).³ ლენინი და სტალინი ამას მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ, როგორც ნაციონალური უნდობლობის დაძლევის ერთადერთი გზას: „სიტყვიერი რეაქცია მშობლიურ ენაზე უფრო სწრაფად ხდება“,⁴ ხოლო სოციალისტური შინაარსი ნაციებისთვის მხოლოდ ნაციონალური ფორმით ხდებოდა მისაწვდომი; „განვითარებული“ ნაციები შედგებოდნენ ინდივიდებისგან, რომელთა მშობლიური ენა ოფიციალურ ენას და ნაციის სახელს უტოლდებოდა, ხოლო მკაცრი სალიტერატურო ენობრივი სტანდარტის ათვისება წარმოქმნიდა დიდი რაოდენობით ხალხს, რომლებიც საუბრობდნენ ან არაენებზე, ან მათ მშობლიურ ენებზე, თუმცა „არასწორად“.⁵ 1927 წლისათვის, დაწყებითი სკოლების უკრაინელი მოსწავლეების 93.7 პროცენტი და ბელორუსების 90.2 პროცენტი მათ „მშობლიურ“ ენაზე იღებდა განათლებას (ეს იმას ნიშნავს, რომ ენა ემთხვეოდა მათ „ნაციონალობას“).⁶ უმაღლესი სკოლები, პროფესიული სკოლები და კოლეჯები ცოტა ჩამორჩებოდნენ ამ ტენდენციას, თუმცა ყველა თანხმდებოდა, რომ უპირველესი მიზანი იყო ნაციონალური და ლინგვისტური იდენტობის დამთხვევა. თეორიულად მაინც, შტეტლის (მცირე ებრაული თემის) ებრაელს განათლება იდიშზე უნდა მიეღო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი მშობლები უკრაინულს ამჯობინებდნენ (ებრაული საერთოდ არ იყო შეთავაზებული ასარჩევ ენათა შორის), ხოლო უკრაინელს ყუბანიდან – უკრაინულ ენაზე, თუ მეცნიერები და ადმინისტრატორები გადაწყვეტდნენ, რომ მისი მშობლების დედაენა უკრაინული და არა რუსულის დიალექტს წარმოადგენდა (ან სრულფასოვან ყუბანურს, თავისი „უფლებებით“).⁷ როგორც ერთი ოფიციალური პირი აღნიშნავდა, „ჩვენ არ შეგვიძლია მშობლების სურვილების გათვალისწინება. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ბავშვს იმ ენაზე, რომელზეც ის სახლში საუბრობს“.⁸ საბჭოთა კავშირის მრავალ მხარეში ასეთი მიდგომა ვერ განხორციელდებოდა და, საერთოდაც, შეუძლებელი იყო მასზე სერიოზულად საუბარი, თუმცა საბოლოო მიზნის მნიშვნელობა (მთლიანი ეთნოლინგვისტური მდგრადობა სოციალიზმის პირობებში და არა ტოტალური ეთნოლინგვისტური გამჭვირვალობა კომუნიზმის პირობებში) გარკვეულ მოცემულობად მიიჩნეოდა.

დაბოლოს, რაც ყველაზე დრამატული იყო, მშობლიური ენების ხელშეწყობას თან ახლდა ამ ენებზე მოლაპარაკეთა დაწინაურება. *კორენიზაციის* ოფიციალური პოლიტიკის თანახმად (რაც სიტყვასიტყვით „ფესვების მოძიებას“ ან ინდიგენიზაციას ნიშნავდა), ეთნიკური ჯგუფების საქმეები ყველა დონეზე – დაწყებული მოკავშირე რესპუბლიკიდან, დამთავრებული კლანურ პრინციპზე დაფუძნებული საბჭოებით – მართული უნდა ყოფილიყო ამ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა მიერ. ეს მოიცავდა კონკრეტული ნაციონალობის უპირატეს და შეღავათიან მიღე-

¹ M.Pavlovich, “Kul’tunye dostizheniia tiurko-tatarskikh narodnostei so vremeni Oktiabr’skoi revoliutsii,” *Novyi vostok* 12 (1926): viii.

² Simon, *Nationalism*, 46. მაგალითად, იდიშზე გამოცემული ნიგნების და ბროშურების რაოდენობა 1924 წელს 76 შეადგენდა, ხოლო 1930 წლისთვის 531-მდე გაიზარდა (იხ. Gitelman, *Jewish Nationality*, 332-33).

³ მაგალითად იხ. Fierman, *Language Planning*, 170-76; Gitelman, *Jewish Nationality*, 351-65; James E. Mace, *Communism and the Dilemmas of National Liberation: National Communism in Soviet Ukraine, 1918-1933* (Cambridge: Harvard Ukrainian Research Institute, 1983), 96; Simon, *Nationalism*, 42.

⁴ Davydov, “O problem iazykov,” 23.

⁵ განათლების უკრაინელი კომისარი მიკოლა შრიპკინი დონბასურ ადგილობრივ ენას განსაზღვრავდა როგორც „არც რუსულ და არც უკრაინულ“ ადგილობრივ დიალექტს, რომელიც საჭიროებდა უკრაინიზაციას (იხ. Mace, *Communism and the Dilemmas*, 213).

⁶ Simon, *Nationalism*, 49.

⁷ I.Bulatnikov, “Ob ukrainizatsii na Severnom Kavkaze,” *Prosveshchenie natsional’nostei* I (1929): 94-99; Gitelman, *Jewish Nationality*, 341-44.

⁸ Gitelman, *Jewish Nationality*, 342.

ბას პარტიაში, ხელისუფლებაში, სასამართლოში, სავაჭრო გაერთიანებებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, ასევე მეტწილად აგარარული, არარუსი მოსახლეობის შეღავათიან და უპირატეს „პროლეტარიაციას“.¹ თუმცა, ამ პროცესების კონკრეტული მიზნები ცხადი არ იყო. ერთი მხრივ, ეთნიკური ჯგუფის წილი მთლიან მოსახლეობაში კონკრეტულ ტერიტორიაზე ტოლი უნდა ყოფილიყო მისი ხვედრითი წილისა უმაღლეს თანამდებობებზე, რაც რეალურად მოიცავდა ყველა პოზიციას და ადგილს, ტრადიციული აგარარულის გარდა (სწორედ მათი, რომლებიც, ეთნოგრაფთა თანახმად, უმეტეს ნაციონალობებს „ნაციებად“ აქცევდა).² მეორე მხრივ, ყველა ტერიტორია არ იყო თანასწორი ან თანაბრად თვითკმარი, სადაც „რესპუბლიკური“ იდენტობა ხშირად დომინირებდა ყველა სხვა იდენტობაზე. ინდიგენიზაციის კამპანიების შემოქმედნი თვლიდნენ, რომ რესპუბლიკის კონტროლირებული (არარუსი) ნაციონალობები უფრო ინდიგენური იყვნენ, ვიდრე სხვები. ამგვარად, თუ სახელმწიფო თანამდებობებზე მყოფ სომეხთა ხვედრითი წილი აჭარბებდა „მათი“ რესპუბლიკის მოსახლეობაში სომეხთა ხვედრით წილს, არავინ დაიწყებდა საუბარს საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის დარღვევაზე (ქურთებს უნდა გაეკონტროლებინათ მათი სოფლის საბჭოები; მათი პროპორციული წარმომადგენლობა რესპუბლიკურ დონეზე არ იყო მკაფიოდ დაფიქსირებული პრიორიტეტი).³ არც ერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკას შეეძლო გატოლებოდა სომხეთის წარმატებას, თუმცა მათი უმეტესობა ცდილობდა ამას (საქართველოს ამ მხრივ ყველაზე დიდი წარმატებები ჰქონდა). ნაციონალობა გარკვეული აქტივი იყო და მოკავშირე რესპუბლიკის ზემოთ არ არსებობდა ნაციონალურად განსაზღვრული ერთობები.

ადმინისტრაციული იერარქია აბრკოლებდა ნაციონალური თანასწორობის პრინციპს. ეთნიკური ჯგუფების ფორმალური გრადაცია გაუქმდა ნების ნაციონალური პოლიტიკის პერიოდიდან მოყოლებული. არავის აინტერესებდა სტალინისეული განსხვავებები ნაციებსა და ნაციონალობებს შორის თავად სტალინის გარდა. პროლეტარიატის დიქტატურა შედეგობდა მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფებისაგან (ენებისაგან, კულტურებისაგან, ინსტიტუტებისაგან), რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ, ერთი შეხედვით, შეუზღუდავი ნაციონალური – „არაარსებითი“ – უფლებები (რათა განევიტარებინათ მათი ენები, კულტურები და ინსტიტუტები). ძირითადი თემები იყო „ნაციონალური მრავალფეროვნება“ და „ნაციონალური განსაკუთრებულობა“; ორივე მათგანი იყო სასარგებლო, მაგრამ, ამავე დროს, პარადოქსული წინაპირობა ერთიანობისათვის და წარმოდგენდა ერთგვარ თვითკმარ ფასეულობას. 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საბჭოთა კავშირი სიმბოლურად შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

სამარყანდის ძველი ჯადოსნური მეჩეთები... აზერბაიჯანის თეთრი მინარეთები; ფერადი სომხური კოშკი; საოცარი აღმოსავლური შენობა ყირგიზეთიდან; ცხაურით დაფარული თათრული სახლი; თვალწარმტაცი ჩინური სტილი შორეული აღმოსავლეთიდან; იურტები ბაშკირეთიდან, მონღოლეთ-ბურიატიიდან, ყალმუხეთიდან, ოირატიიდან, იაკუტიიდან, ხაკასიიდან, ოსტიაკებიდან და სამოედებიდან; მათ გარს ერტყა დალესტინის, კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის და ჩეჩნეთის ხელოვნურად შექმნილი მთები და სოფლები... ყველა მათგანს ჰქონდა საკუთარი დროშა; ნიშნები მათს საკუთარ ენაზე; საკუთარი საზღვრების და სივრცის აღმნიშვნელი დროშები; მათი სიმდიდრის ამსახველი დიაგრამები. ნაციონალობა, ინდივიდუალურობა და განსაკუთრებულობა ყველგან იყო ხაზგასმული.⁴

თუ საბჭოთა კავშირში კომუნალური ბინა იყო, მაშინ თითოეულ ოჯახს, რომელიც იქ ცხოვრობდა, საკუთარი ოთახის ქონის უფლება ჰქონდა. „მხოლოდ თავისუფალი თვითგამორკვევით შეიძლება მოვხვდეთ ამ ბინაში“, ამტკიცებდა ვარეიკისი, „მხოლოდ ამ თვითგამორკვევით შეიძლება ადრე დაჩაგრულმა ნაციამ გამოააშკარავოს მისი ლეგიტიმური უნდობლობა დიდი ნაციებისადმი“.⁵

რა თქმა უნდა, ყველა უნდობლობა არ ითვლებოდა ლეგიტიმურად. მოსკოვის, როგორც „საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის და ლენინიზმის ციტადელის“⁶ (და, ამგვარად, დემოკ-

¹ მიმოხილვისათვის იხ. Simon, *Nationalism*, 20-70.

² მაგალითად იხ. Borozdin, “Sovremenniy Tatarstan,” 118-19; 122-23; Dimenshtein, “Desiat’let,” v-vi, xvii.

³ Simon, *Nationalism*, 32-33, 37.

⁴ A. Skachko, “Vostochnye respubliki na S.Kh. Vystavke SSSR v 1923 godu,” *Novyi vostok* 4 (1923); 482-84. ხაზგასმა მოცემულია ორიგინალში.

⁵ Vereikis and Zelenskii, *Natsional’no-gosudarstvennoe rezmezhevanie*, 59.

⁶ Stalin, *Sochineniia*, 8: 153.

რატიული ცენტრალიზმის ერთადერთი ჭეშმარიტი განსახიერების), უგულებელყოფა ნაციონალისტურ დევიაციას წარმოადგენდა, როგორც სულთან-გალიევი, შუმსკი და სხვები აღნიშნავენ. ნაციონალური უფლებები კულტურული „ფორმის“ საკითხი იყო, რომელიც განსხვავდებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური „შინაარსისაგან“. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა ფორმა შინაარსისაგან წარმოდგებოდა და მოსკოვის პარტიული ლიდერების გადასაწყვეტი იყო, თუ სად გავივლიდა საზღვარი თითოეულ შემთხვევაში. ერთი რამ აშკარა იყო: განსხვავება სავალდებულო, თუმცა დროებითი, ხოლო საერთო ფორმა – მნიშვნელოვანი, თუმცა თეორიულად უარყოფილი იყო. როცა სტალინი 1926 წელს მიკოლა ხვილიოვის “მოსკოვიდან დაშორების გამო” აკრიტიკებდა, იგი კვლავ დაბეჯითებით უჭერდა მხარს უკრაინული კულტურის შემდგომი განვითარების ხელშეწყობას და იმეორებდა მის 1923 წლის წინასწარმეტყველებას, რომ საბოლოოდ (და არა ახლა, დაუყოვნებლივ) „უკრაინის პროლეტარიატი უკრაინიზებული იქნებოდა, ისევე როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ლატვიის და უნგრეთის პროლეტარიატის შემთხვევაში, რომელიც გერმანული იყო და შემდგომ მოხდა მათი ლატვიზირება და მაგარიზება“.¹

მაგრამ რა სიტუაცია იყო რუსებთან მიმართებაში? საბჭოთა საერთო საცხოვრებლის ცენტრში არსებობდა დიდი და ამორფული სივრცე, რომელიც მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული როგორც ოთახი, არ ახასიათებდა ნაციონალური ატრიბუტები, მასზე პრეტენზია არ ჰქონდა მის „საკუთარ“ ნაციას და დასახლებული იყო დიდი რაოდენობით მკაცრი, მაგრამ მზარდად მგრძობიარე პროლეტარიატი. მართლაც, რუსებს განსაკუთრებული პოზიცია ჰქონდათ. ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ ჭეშმარიტად ნაციონალური უმცირესობები იმ ტერიტორიებზე, რომელიც „სხვისი“ (სხვა ნაციის) იყო, მაგრამ საკუთრივ რუსეთში მათ არ გააჩნდათ ნაციონალური უფლებები და ნაციონალური შესაძლებლობები (რადგანც ისინი მათ ფლობდნენ და არასწორად იყენებდნენ წარსულში). რუსული ქოხებისა და ეკლესიების წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა და ამ მიმე ტვირთთან გასამკლავებლად მას ესაჭიროებოდა იურტებისა და მინარეთების მხარდაჭერა. რეალურად, ეთნიკურობაზე დაფუძნებული განსაკუთრებულობა ნაციონალურ ტერიტორიებზე წარმოადგენდა რუსეთის კლასობრივი განსაკუთრებულობის კოპირებას და რეპროდუქციას. რუსს შეეძლო სარგებელი ენახა პროლეტარობისგან; არარუსს შეეძლო სარგებელი ენახა არა-რუსობისაგან. „უდმურტი“ და „უზბეკი“ მნიშვნელოვანი ცნებები იყო, რადგან ისინი კლასის ცნებას ენაცვლებოდა. „რუსი“ პოლიტიკურად ცარიელი კატეგორია იყო ველიკოდერჟავული შოვინიზმისა (რაც ნიშნავდა ამპარტავნულ და ქედმაღალ ბიუროკრატიულ სახელმწიფო კონტროლს და უკიდურეს ნაციონალურ თავდაჯერებულობას) და ულმობელი იმპერიალიზმის ისტორიის (რაც ნიშნავდა, რომ ცარიზმი წარმოადგენდა ციხეს არარუსი ხალხებისათვის) გარეშე. ლენინის პოლიტიკის 1923 წლის ტროცკისეული ფორმულირებით:

დიდ რუს პროლეტარიატსა და დიდ რუს გლეხებს შორის ურთიერთობა ერთი საკითხია. აქ საქმე ეხება ერთი კლასის საკითხს – უბრალოსა და მარტივს, რაც აიოლებს პრობლემის გადაწყვეტას. დიდ რუს პროლეტარიატს, რომელიც პირველი ვიოლინოა ჩვენს ფედერალურ სახელმწიფოში, და აზერბაიჯანელ, თურქმენ, ქართველ და უკრაინელ გლეხებს შორის ურთიერთობა სრულებით განსხვავებული საკითხია.²

რუსები არ იყვნენ ერთადერთი არანაცია საბჭოთა კავშირში. არც საბჭოები იყო ნაციები (ბინა არ იყო იმაზე უფრო დიდი, ვიდრე მისი შემადგენელი ოთახების ჯამი). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან 1925 წლის მარტის შემდეგ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები აშენებდნენ სოციალიზმს „ერთ ქვეყანაში“ – ქვეყანაში, სადაც არსებობდა ცენტრალიზებული სახელმწიფო, ცენტრალიზებული ეკონომიკა, განსაზღვრული ტერიტორია და მონოლითური პარტია. ზოგიერთი ხალხი („ველიკოდერჟავნიკი შოვინისტები“) ამ ქვეყანას რუსეთთან აიგივებდნენ,³ მაგრამ, როგორც კი პარტიის ხაზზე მიდგებოდა საქმე, საბჭოთა კავშირს არ გააჩნდა ნაციონალური იდენტობა, ოფიციალური ენა და ნაციონალური კულტურა. საბჭოთა კავშირი რუსეთს წაავადა, რადგანაც ორივე მათგანი წარმოადგენდა წმინდა „სოციალისტურ შინაარსს“, სრულიად დაცლილს “ნაციონალური ფორმისაგან“.

¹ იქვე, 151.

² დამონმებულია Nenarokov, *K edinstvu ravnykh*, 132.

³ კონკრეტულად იხ. M. Agurskii, *Ideologiia natsional-bol'shevizma* (Paris: YMCA Press, 1980).

რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ნაციონალური შინაარსის კრიტიკა, მაგრამ ნაციონალური ფორმების გამტკიცების კამპანიას მოყვებოდა სხვადასხვა სახის, თუმცა მეტწილად გაურკვეველი და არამკაფიო, ცილისნამებები. მე-12 ყრილობის თითქმის არც ერთი დელეგატი არ წასულა ლენინურ-სტალინური ინდიგენიზაციის (კორენიზაციის) პროგრამის წინააღმდეგ, აღფრთოვანებით უკრავდნენ ტაშს შეტევას „ლოკალურ ნაციონალიზმზე“ და არა პარტიის ჯვაროსნულ ლაშქრობას ველიკოდერჟავული შოვინიზმის წინააღმდეგ.¹ ამავე დროს, თათრეთის რესპუბლიკაში, ველიკოდერჟავული შოვინიზმი ვლინდებოდა საჩივრებში იმის თაობაზე, რომ „მთელი ძალაუფლება თათრების ხელშია“, „რუსებს ითხოვენ სამსახურიდან, არსად იღებენ სამუშაოზე და კოლეჯებში“, „ყველა რუსმა რაც შეუძლება სწრაფად უნდა დატოვოს თათრეთი“ და ა.შ.² ვოლგისპირეთში, ციმბირსა და ცენტრალურ აზიაში „არაადგილობრივი“ მცხოვრებლები, მასწავლებლები და ადმინისტრატორები განიცდიდნენ ოფიციალურ ზენოლას, რათა შეესწავლათ ის ენები, რომელთაც ისინი უსარგებლოდ და გამოუყენებლად მიიჩნევდნენ, დაექირავებინათ ის „ნაციონალობები“, რომელთაც ისინი არაკომპეტენტურად თვლიდნენ, ესწავლებინათ იმ ბავშვებისთვის, რომელთაც ისინი „ველურებს“ უწოდებდნენ და მწირი რესურსები დაეხარჯათ იმ პროექტებზე, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად ესახებოდათ.³ უკრაინელი გლეხობა ენთუზიაზმით არ იყო განწყობილი სოფლად დასაქმებული ებრაელი კოლონისტების ჩამოსვლისადმი, მაშინ როდესაც, მრავალრიცხოვანი ებრაელი ოფიციალური პირები ეწინააღმდეგებოდნენ მთლიან უკრაინიზაციას.⁴ ისინი, ვისთვისაც ეს კეთდებოდა, ყოველთვის მადლიერი არ იყვნენ. „პოლიტიკურად უმნიშვარი“ მშობლები, სტუდენტები და მასწავლებლები „არაორდინარულ დამოკიდებულებას“ ამჟღავნებდნენ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისადმი; „იდიშიზაციის“ და „ბელორუსიზაციის“ გზაზე მათი დაყენება ძალადობრივად ხდებოდა (ტექნიკური მიზეზების გამო, ეს გზა იშვიათად სცილდებოდა საშუალო სკოლას, რომელიც, ამგვარად, განათლების ბოლო საფეხურად გვევლინებოდა).⁵ „ჩამორჩენილი“ ბელორუსი მოსახლეები ციმბირში ამჯობინებდნენ განათლებას რუსულ ენაზე, ციმბირის „განსაკუთრებით ჩამორჩენილი“ ადგილობრივი ხალხები კი თვლიდნენ, რომ, რადგანაც წიგნიერებას მცირედი მნიშვნელობა ჰქონდა ტუნდრაში, ამიტომ საჭირო იყო შესწავლათ რუსული ხერხები და უნარები, რომლებსაც სახლში ვერ დაეუფლებოდნენ.⁶

ნეპ-ის პოლიტიკის განმავლობაში ეს არგუმენტები სხვა არაფერი იყო, თუ არა კედლისათვის ცერცვის შეყრა, რადგან ჩამორჩენილობის დაძლევის სწორი გზა უკომპრომისო *ნაციის მშენებლობაზე* (национальное строительство), ოფიციალური ტერმინოლოგიით – უფრო მეტ ჩამორჩენილობაზე გადიოდა. მაგრამ 1928 წელს ნეპი დასასრულს მიუახლოვდა და ამით დასრულდა ყველა ტიპის „გადმონაშთებისადმი“ შემწყნარებლობა. „ზემოდან“ მოვლენილი რევოლუციონერები დაუბრუნდნენ „სხვად“ ყოფნის გაიგივებას „ჩამორჩენილობასთან“ და დადეს აღთქმა, რომ მას 10 წელიწადში დაძლევენ. კოლექტივიზაცია მოაგვარებდა რურალური ბარბაროსების პრობლემას, ინდუსტრიალიზაცია ურბანულ პროგრესს მოიტანდა, ხოლო კულტურული რევოლუცია „აღმოფხვრიდა უნიგნურობას“ (და, ამით, ყველა ანომალიას). დიდი ტრანსფორმაციის მოციქულთა თანახმად, „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“ იმას ნიშნავდა, რომ მალე განსხვავება მე-ს და სხვა-ს შორის დაემთხვეოდა ამ ქვეყნის საზღვრებს: ყველა შიგა საზღვრები გაქრებოდა, სკოლები შეერ-

¹ Dvenadtsatyi s'ezd, 554, 556, 564.

² N.Konoplev, "Shire front internatsional'nogo vospitaniia," *Prosveshchenie natsional'nostei* 2 (1931): 49. ასევე იხ. N.Konoplev, "Za vospitanie internatsional'nykh boitsov," *Prosveshchenie natsional'nostei* 4-5 (1930): 55-61.

³ RsGAOR, f. 1377, op. 1, d. 224, II. 8, 32; N.Amyl'skii, "Kogda zatsvetaiut zharkie tsvety," *Severnaia Aziia*, 3 (1928): 57-58; Fierman, *Language Planning*, 177-85; N.I. Leonov, "Tuzemnye shkoly na Severe," *Sovetskii Sever: Pervyi sbornik statei* (Moscow: Komitet Severa, 1929), 200-4; Leonov, "Tuzemnye soveti," 242, 247-48; D.F.Medvedev, "Ukrepim soveti na Krainem Severe i ozhivim ikh rabotu," *Sovetskii Sever* 1 (1933): 6-8; P.Rysakov, "Praktika shovinizma I mestnogo natsionalizma," *Revoliutsiia i natsional'nosti* 8-9 (1930): 28; T.Semushkin, *Chukotka* (Moscow: Sovetskii pisatel', 1941), 48; I.Sergeev, "Usilit' provedenie natspolitiki v Kalmykii," *Revoliutsiia i natsional'nosti* 7 (1930): 66; Simon, *Nationalism*, 25, 41, 73-74.

⁴ Gitelman, *Jewish Nationality*, 386, 398, 402-3.

⁵ Davydov, "O problem iazykov," 22; Konoplev, "Shire front," 50; A.Valitov, "Protiv opportunisticheskogo otnosheniia k stroitel'stvu natsskoly," *Prosveshchenie natsiona; 'nostei* 5-6 (1932): 68.

⁶ I.Skachkov, "Prosveshchenie sredi belorusov RSFSR," *Prosveshchenie natsiona; 'nostei* 3 (1931): 76; P.Kovaalevskii, "V shkole-iurte," *Sovetskii Sever* 2 (1943): 105-6; .I.Nesterenok, "Smotr natsional'nykh shkol na Taimyre," *Sovetskii Sever* 6 (1932): 84; G.N.Prokof'ev, "Tri goda v samoedskoi shkole," *Sovetskii Sever* 7-8 (1931): 144; S. Strebniiskii, "Iz opyta raboty v shkole Severa," *Prosveshchenie natsiona; 'nostei* 8-9 (1932): 49-51.

წყმებოდა წარმოებას, მწერლები – მკითხველებს, ხოლო გონება – სხეულს. მაგრამ, როგორ უკავშირდებოდა ეს ყველაფერი ნაციონალიზმს? ნიშნავდა ეს იმას, რომ ნაციონალური ტერიტორიები წარმოადგენდა დროებით დათმობას ჩამორჩენილობის წინაშე, რომელიც სწრაფად უნდა დაძლეულიყო? ნაციები უნდა გამქრალიყვნენ, როგორც ნეპის ადამიანი, თუ გლეხებივით მათი კოლექტივიზაცია უნდა მომხდარიყო? ზოგიერთი მნიშვნელოვანი სიგნალი ამაზე მიანიშნებდა. ისევე სამართალმცოდნე მეცნიერები საუბრობდნენ კანონების „ჭკნობაზე“, მასწავლებლები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ფორმალური განათლება თავის თავს ამონურავდა, ლინგვისტიკები და ეთნოგრაფები მოელოდნენ და ესწრაფოდნენ ლინგვისტური და ეთნიკური ერთობების შერწყმასა და გაუჩინარებას.¹ ნ. მარის საეჭვოდ მარქსისტული და, ამგვარად, სავალდებულო „იაფეტური თეორიის“ თანახმად, ენა სოციალურ სუპერსტრუქტურას მიეკუთვნებოდა და, შესაბამისად, ასახავდა ეკონომიკური საფუძვლის ციკლურ ცვლილებებს. ენათა ოჯახები ევოლუციური საფეხურების გადმონაშთები იყვნენ, რომელთაც აერთიანებდა გლობალური „გლოტარული“ ურყევი და მტკიცე პროცესი და რომელთა საბოლოო ბედს კომუნიზმის პირობებში ურთიერთშერწყმა წარმოადგენდა.² ამის მსგავსად, ამ ენაზე მოლაპარაკენი („ნაციონალობები“) ქმნიდნენ ისტორიულად „არასტაბილურ“ ერთობებს, რომლებიც ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებთან ერთად³: „ზურჟუაზიული ასპექტიდან თვითგათავისუფლებით ნაციონალური კულტურა გაითქვიფება ერთ საკაცობრიო კულტურაში... ნაცია ისტორიული, გარდამავალი კატეგორიაა, რომელიც არ წარმოადგენს რაიმე პირველყოფილს ან მარადიულს. მართლაც, ნაციის ევოლუციის პროცესი არსებითად იმეორებს სოციალური ფორმების განვითარების ისტორიას.“⁴ ამავე დროს, მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის პროცესის დაჩქარება საჭიროებდა როგორც თვალსაჩინოდ „ასიმილირებული“ ჯგუფების ლინგვისტური ინდიგენიზაციის აბსურდულ და უაზრო პრაქტიკაზე უარის თქმას, ასევე რუსული ენის მაქსიმალურად ფართო გამოყენების წახალისებას.⁵

მაგრამ ეს არ უნდა მომხდარიყო. ლინგვისტურ სინამდვილეზე იერიში მიიტანეს ჯერ მარის მიმდევრებმა და შემდეგ პარტიამ,⁶ თუმცა ეს საკითხი ვერ გადაიჭრა 1933-1934 წლებამდე და ეთნოკულტურული ავტონომიის პრინციპი არასდროს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ. როგორც სტალინმა 1930 წლის ივლისში პარტიის XVI ყრილობას განუცხადა,

საბჭოთა კავშირის ყველა ნაციის ერთ საერთო დიდ რუს ნაციად შერწყმის თეორია, რომელსაც საერთო დიდი რუსული ენა ექნებოდა, ნაციონალურ-შოვინისტური და ანტილენინური თეორია იყო, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ლენინიზმის ძირითად თეზას. ამ თეზის თანახმად, ნაციონალური განსხვავებები ვერ გაქრებოდა უახლოეს მომავალში, არამედ ისინი დიდი ხნის მანძილზე შენარჩუნდებოდა, თვით პროლეტარული რევოლუციის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგაც კი.⁷

ამგვარად, რამდენ ხანსაც შენარჩუნდებოდა „ნაციონალური განსხვავებები, ენა, კულტურა, ცხოვრების გზა და ა.შ.“, უნდა შენარჩუნებულიყო და განმტკიცებულიყო ეთნოტერიტორიული ერთობებიც.⁸ დიდი ტრანსფორმაცია ნაციონალურ პოლიტიკაში ნეპ-ის ნაციის მშენებლობის

¹ პირველი ხუთწლედის პერიოდში პროფესიული აბოლიციონიზმის საკითხზე იხ: Shelia Fitzpatrick, ed., *Cultural Revolution in Russia, 1928-1931* (Bloomington: Indian University Press, 1978). ლინგვისტიკაზე და ეთნოგრაფიაზე იხ: Yuri Slezkine, “The Fall of Soviet Ethnography, 1928-38,” *Cultural Anthropology* 32, no. 4 (1991): 476-84.

² Slezkine, “The Fall,” 478.

³ N.Ia. Marr, “K zadacham nauki na sovetskom vostokey,” *Prosveshchenie national’nostei* 2 (1930): 12; S. Asfendiarov, “Problema natsii i novoe uchenie o iazyke,” *Novyi Vostok* 22 (1928): 174.

⁴ Asfendiarov, “Problema natsii,” 174.

⁵ I.Davydov, “Ocherednye zadachi prosveshcheniia natsional’nostei,” *Prosveshchenie national’nostei* 4-5 (1930): 30-34; M. Vanne, “Russkii iazyk v stroitel’stve natsional’nykh kul’tur,” *Prosveshchenie national’nostei* 2 (1930): 31-40.

⁶ I.Kusik’ian, “Ocherednye zadachi marksistov iazykovedov v stroitel’stve iazykov narodov SSSR,” *Prosveshchenie national’nostei* 11-12 (1931): 75; E.Krotevich, “Vypravit’ nedochety v stroitel’stve Kazakhskoi terminologii,” *Prosveshchenie national’nostei* 8-9 (1932): 94-96; Fierman, *Language Planning*, 126-129; Mace, *Communism*, 227-79; Roman Smal-Stocki, *The Nationality Problem of the Soviet Union and Russian Communist Imperialism* (Milwaukee: The Bruce Publishing Company, 1952), 106-41.

⁷ I.V.Stalin, *Sochineniia* (Moscow: Politizdat, 1952), 13: 4. ხაზგასმა ორიგინალიდან.

⁸ იქვე, 12: 365-66.

სტიმულის დრამატულ ესკალაციას წარმოადგენდა. რუსული ენის დამცველებს უკან დახვევა მოუხდათ;¹ მთელი საბჭოთა ცხოვრება უნდა გამხდარიყო იმდენად „ნაციონალური“, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო და რაც შეიძლება სწრაფად. თუ არ არსებობდა ციხესიმაგრე, რომელზე შეტევაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ, გეგმა, რომელიც გადაჭარბებით ვერ შესრულდებოდა და ზღაპარი, რომლის სინამდვილედ გადაქცევაც ვერ მოხერხდებოდა, მაშინ რატომ დაჭირდებოდა რამდენიმე თვეზე მეტი უზბეკურის დაუფლებას, რომ აღარაფერი ვთქვათ „600-იდან 700-მდე ყოველდღიურ სიტყვაზე“, რომელიც შეადგენდა ნენცურ ენას?² 1928 წლის 1 მარტს, პარტიის ცენტრალური აზიის ბიურომ, უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და უზბეკეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა ფორმალურად გადანყვიტეს სრული „უზბეკიზაცია“ 1930 წლის 1 სექტემბრამდე.³ 1929 წლის 28 დეკემბერს უზბეკეთის მთავრობა მოითხოვდა, რომ ცენტრალური კომიტეტის, უზენაესი სასამართლოს და მუშათა, საგანმანათლებლო, იუსტიციის და სოციალური უზრუნველყოფის სტრუქტურების ყველა ოფიციალურ პირს ორ თვეში ესწავლა უზბეკური ენა (სხვა კომისარიატებს 9 თვე მიეცათ, ხოლო „ყველა სხვას“ – 1 წელი).⁴ 1931 წლის 6 აპრილს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც, წლის დასასრულამდე ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეთა ხვედრითი წილი 29-დან 50 პროცენტამდე უნდა გაზრდილიყო.⁵ 1929 წლის 31 აგვისტოს დილას ოდესის მეტწილად რუსულენოვანმა მცხოვრებლებმა უეცრად აღმოაჩინეს, რომ მათი ყოველდღიური გაზეთი *იზვესტია* გადაქცეულიყო უკრაინულენოვან *ჩორნომორსკა კომუნა*.⁶

მაგრამ უკრაინიზაცია ან ყაზახიზაცია მხოლოდ ქალაქებს უნდა შეეხებოდა. სტალინის ნაციონალური რევოლუციის ყველაზე ეფექტურ ასპექტს ყველა „ნაციონალური უმცირესობის“ (არასატიტულო ნაციონალობების) – თვით ყველაზე მცირე ერთობებისაც კი – კულტურული ავტონომიის მზარდი მხარდაჭერა წარმოადგენდა. „ინდიგენიზაციის არსი სრულად არ ემთხვეოდა ისეთ ცნებებს, როგორცაა უკრაინიზაცია, ყაზახიზაცია, თათარიზაცია და ა.შ... ინდიგენიზაცია ვერ შემოიზღუდებოდა საკითხებით, რომლებიც დაკავშირებული იყო კონკრეტული რესპუბლიკის ან პროვინციის მხოლოდ ადგილობრივ ნაციონალობასთან“.⁷ 1923 წლისთვის უკრაინა ამაყოფიდა რუსული, პოლონური, ებრაული, მოლდოვური, ჩეჩნური, ბულგარული, ბერძნული, ბელორუსული და ალბანური სოფლების საბჭოებით; ყაზახეთში არსებობდა რუსული, უკრაინული, „რუსულ-კაზაკური“, უზბეკური, უიღურული, გერმანული, ტაჯიკური, დუნგანური, თათრული, ჩუვაშური, ბულგარული, მოლდოვური და მორდოვური სასოფლო საბჭოები, რომ აღარაფერი ვთქვათ 140 „შერეულ“ საბჭოებზე.⁸ ეს იყო ეთნიკური ნაყოფიერების ზეიმი, უხვი და ბარაქიანი ნაციონალური კარნავალი, რომელსაც მხარს უჭერდა პარტია და რომელიც კიდევ ერთხელ დადასტურდა სტალინის გამოსვლით როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ, *პროლეტარული რევოლუციისადმი* მიძღვნილ წერილში.⁹ აღმოჩნდა, რომ ჩეჩნები და ინგუშები სხვადასხვა ნაციონალობას წარმოადგენდნენ (და არა ვაინახურ ენაზე მოლაპარაკეებს), რომ მეგრელები განსხვავდებოდნენ ქართველებისაგან და კარელები – ფინელებისაგან; რომ „პონტოს ბერძნები“ განსხვავდებოდნენ „ელადის ბერძნებისაგან“, ხოლო ებრაელები და ბოშები – ყველა სხვებისაგან (თუმცა არც ძალიან). ამგვარად, ყველა მათგანს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა საკუთარი სალიტერატურო ენა, პრესა

¹ იხ. მაგალითად, *Prosveshchenie national'nostei* 11-12 (1931): 102-6.

² Fierman, *Language Planning*, 177; Evgen'ev and Bergavinov, "Nachal'niku Obdorskogo politotdela Glavsevmorputi t. Mikhailovu," *Sovetskaia Arktika* 4 (1936): 65-67.

³ P. Rysakov, "Praktika shovinizma i mestnogo natsionalizma," *Revoliutsiia i natsional'nosti* 8-9 (1930): 29.

⁴ S. Akopov, "K voprosu ob uzbekizatsii apparata i sozdaniu mestnykh rabochikh kadrov promyshlennosti Uzbekistana," *Revoliutsiia i natsional'nosti* 12 (1931): 22-23.

⁵ B. Rodnevich, "Korenizatsiia apparata v avtonomiiakh i raionakh natsmen'shinstv RSFSR," *Revoliutsiia i natsional'nosti* 12 (1931): 19-20.

⁶ Mace, *Communism*, 212. აგრეთვე იხ: Simon, *Nationalism*, 39-40.

⁷ A. Oshirov, "Korenizatsiia v sovetskoi stane," *Revoliutsiia i natsional'nosti* 4-5 (1930): 111.

⁸ A. Gitlianskii, "Leninskaia natsional'naia politika v deistvii (natsional'nye men'shinstva na Ukraine)," *Revoliutsiia i natsional'nosti* 9 (1931): 37; A. Zuev, "Natsmeny Kazakhstana," *Revoliutsiia i natsional'nosti* 4 (1932): 48.

⁹ ან ხალხის უმეტესი ნაწილი ასე ფიქრობდა. Cf. Stalin, *Sochineniia* 13: 91-22 და *Revoliutsiia i natsional'nosti* 1 (1932); და *Revoliutsiia i natsional'nosti* 1 (1932); და Iiul'skii, "Pis'mo t. Stalina – orudie vospitaniia Bol'shevistskikh kadrov," *Prosveshchenie natsional'nostei* 2-3 (1932): 9.

და საგანმანათლებლო სისტემა.¹ 1928-1938 წლებში არარუსულ ენაზე გამომავალი გაზეთების რაოდენობა გაიზარდა 47-ენოვანი 125 დასახელებიდან 2.188 დასახელებამდე, რომლებიც 66 ენაზე იბეჭდებოდა.² სკანდალურად ჩაითვლებოდა, თუ უკრაინული წარმომავლობის ჩრდილოკავკასიელებს არ ექნებოდათ საკუთარი თეატრები, ბიბლიოთეკები და სალიტერატურო ორგანიზაციები; თუ დაღესტნის ხალხებს ექნებოდათ თურქულენოვანი *lingua franca* (რამდენიმე ათეული სხვადასხვა სტანდარტის ნაცვლად), ან დონბასის მშრომელების კულტურული მოთხოვნები „მხოლოდ რუსულ, უკრაინულ და თათრულ ენებზე“ დაკმაყოფილდებოდა.³ ოფიციალური თანამდებობების უმეტესი ნაწილი და სკოლებში ჩარიცხვა რთული ეთნიკური კვოტების პრინციპით ხდებოდა, რომლის მიზანი იყო დემოგრაფიასა და დანიშნულებას შორის ზუსტი შესაბამისობის მიღწევა; ეს თითქმის შეუძლებელი ამოცანა იყო იმ ადმინისტრაციული დონეების რაოდენობის გათვალისწინებით, რომელთა მიხედვითაც დემოგრაფია და დანიშნულება უნდა გაზომილიყო.⁴ პროლეტარიატის დიქტატურა ბაბილონის გოდოლს წარმოადგენდა, სადაც ყველა ენას, ყველა სართულზე, სამსახურის პროპორციული წილი უნდა ჰქონოდა. დანიშნულება ცალკეულ სანარმოებში და სამშენებლო ადგილებზე ეთნიკური ნიშნის მიხედვით უნდა მომხდარიყო, თუკი ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელი იყო (ცნობილი სტახანოველი ქალი, პაშა ანგელინა, „ბერძნული ბრიგადის“ ამაყი წევრი იყო).⁵

დიდი ტრანსფორმაცია არ იყო მხოლოდ ნეპ-ის პოლიტიკის სრული მაშტაბებით გაშლა. ნაციონალურ პოლიტიკაში, ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, ის წარმოადგენდა უკანასკნელ ომს ჩამორჩენილობის, როგორც ექსპლუატაციის, წინააღმდეგ, თავის დაღწევას სოციალური (და ამგვარად ყველა?) განსხვავებისაგან და საბოლოო ნახტომს დროის მიღმა, რაც აღქმული იყო, როგორც უკლასობა. დიდი ტრანსფორმაციის მიზნები და იდენტობები ვალიდური იყო იმ შემთხვევაში, თუ მას ბოროტმოქმედები არ აბრკოლებდნენ. 1928 წლის დასაწყისიდან, რეალური ან წარმოსახვითი არარუსი ელიტები ვეღარ ლაპარაკობდნენ მთელი ნაციის მასშტაბით არსებულ ჩამორჩენილობაზე ან ნაციის საყოველთაო უფლებებზე. კოლექტივიზაცია წინასწარ ვარაუდობდა კლასების არსებობას, რაც იმას ნიშნავდა, რომ უკლებლივ ყველა ნაციონალობას უნდა შეექმნა მათი საკუთარი ექსპლუატატორები, ერეტიკოსები და ანტისაბჭოთა კონსპირატორები.⁶ (თუ კლასები ვერ მოიძებნებოდნენ, გენდერი და ასაკი საკმარისი იქნებოდა⁷) ცხოვრება შედგებოდა „ფრონტებისაგან“ და ფრონტები – მათ შორის ნაციონალური – ერთმანეთისგან მიჯნავდნენ მო-

¹ იხ. მაგალითად, I.K., “Indoeuropeistika v deistvii,” *Prosveshchenie national'nostei* 11-12 (1931): 97-102; I.Kusik'ian, “Protiv burzhuznogo kavkazovedeniia,” *Prosveshchenie national'nostei* 1 (1932): 45-47; I.Zhvaniia, “Zadachi sovetskogo i natsional'nogo stroitel'stva v Mingrelii,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 7 (1930): 66-72; D.Savvov, “Za podlinno rodnoi iazyk grekov Sovetskogo Soiuz,” *Prosveshchenie national'nostei* 4 (1932): 64-74; M.Brill', “Trudiashchiesia tsygane v riady stroitelei sotsializma,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 7 (1932): 60-66; S.D., “Evreiskaia avtonomnaia oblast' - detishche Oktiabr'skoi revoliutsii,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 6 (1934): 13-25.

² Simon, *Nationalism*, 46.

³ *Revoliutsiia i natsional'nosti* 1 (1930): 117; A. Takho-Godi, “Problem iazyka v Dagestane,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 2 (1930): 68-75; Gitalianskii, “Leninskaia natsional'naia politika,” 77.

⁴ იხ. მაგალითად, G.Akopov, “Podgotovka natsional'nykh kadrov,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 4 (1934): 54-60; A.Polianskaia, “Natsional'nye kadry Belorusii,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 8-9 (1930): 79-88; Rodnevich, “Korenizatsiia apparata”; Zuev, “Natsmeny”; E.Popova, “Korenizatsiia apparata – na vysshuiu stupen',” *Revoliutsiia i natsional'nosti* 7 (1932): 50-55; I. Iuabov, “Natsmeny Uzbekskoi SSR,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 9 (1932): 74-78; P.S-ch, “Partorganizatsii natsional'nykh reionov,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 10-11 (1932): 143-48; I.Karneev, “Nekotorye tsifry po podgotovke inzhenerno-tekhnicheskikh kadrov iz korennykh natsional'nostei,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 3 (1933): 86-92.

⁵ Kh. Khazanskii, I. Gazeliridi., “Kul'tmassovaia rabota sredi natsional'nykh men'shinstv na novostroikakh,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 9 (1931): 86-91; A. Kachanov, “Kul'turnoe obsluzhivanie rabochikh-natsmen Moskovskoi oblasti,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 6 (1932): 54-58; I. Sabirzianov, “Natsmenrabota profsoiuzov Moskv,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 9 (1932): 69-74.

⁶ A. Mitrofanov, “K itogam partchistki v natsrespublikakh i oblastiakh,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 1 (1930): 29-36; Martha Brill Olcott, *The Kazakhs* (Stanford: Hoover Institution Press, 1987), 216-20; Mace, *Communism*, 264-80; Rakowska-Harmstone, *Russia and Nationalism*, 39-41; Azade-Ayşe Rorlich, *The Volga Tatars: A Profile in National Resilience* (Stanford: Hoover Institution Press, 1986), 155-56.

⁷ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალები და ბავშვები შეიძლება ყოფილიყვნენ ნაკლოვანი პროლეტარები. იხ. Gregory Massell, *The Surrogate Proletariat: Moslem Women and Revolutionary Strategies in Soviet Central Asia, 1919-1929* (Princeton: Princeton University Press, 1974); Yuri Slezkine, “From Savages to Citizens: The Cultural Revolution in the Soviet Far North, 1928-1938,” *Slavic Review* 51, no. 1 (Spring 1992): 52-76.

ქიშპე კლასებს. „თუ რუსი ნაციონალიზმის შემთხვევაში შიდაკლასობრივი ბრძოლა უკიდურესად მკვეთრად იყო გამოხატული ოქტომბრის პირველი დღეებიდან,... სხვადასხვა ნაციონალიზმები მხოლოდ ახლა იწყებდნენ მასში ჩართვას...“¹ მართლაც, ხანდახან ეთნიკური პრინციპის სოციალური კორექცია მთლიანად სპობდა ამ პრინციპს. ერთმა პარტიულმა ლიდერმა განაცხადა, რომ „კლასობრივი კონფლიქტების გაღრმავებამ ცხადყო მრავალი ნაციონალური თავისებურების კლასობრივი არსი“;² ხოლო ახალგაზრდა ეთნოგრაფი/კოლექტივიზატორი ასკვნიდა, რომ მთელი „სისტემა, რომელსაც გულუბრყვილო დამკვირვებელი ნაციონალური თავისებურებებად აღიქვამდა, სხვა არა იყო რა, თუ არა კერძო საკუთრების იდეოლოგიურ დაცვა“.³

ყველა ნაციონალური თავისებურება ვერ აიხსნებოდა კლასობრივი ანალიზის მეშვეობით. ეთნიკური მრავალფეროვნების რიტორიკა და ეთნიკური კვოტების პრაქტიკა კვლავ სავალდებულო იყო; ადგილობრივ სახელმწიფო პირთა უმეტესობა, რომელიც პირველი ხუთწლედის მანძილზე „გაინმინდა“, იმავე ნაციონალიზმის, მაგრამ სოციალურად გაუმჯობესებული კადრით ჩანაცვლდა.⁴ შეიცვალა მხოლოდ იმ ოთახების რაოდენობა, რომელიც განკუთვნილი იყო „ნაციონალური ფორმისათვის“. დიდი ტრანსფორმაციის ეთნიკური იდენტობა იყო ნეპ-ის ეთნიკური იდენტობა „ჩამორჩენილობის“ გამოკლებით, წარმოდგენილი და დაცული ექსპლუატირებული კლასების მიერ. ე.წ. უკრაინის გათავისუფლების კავშირის წევრები დადანაშაულებული იქნენ ნაციონალიზმში. არა იმიტომ, რომ ისინი მოითხოვდნენ უკრაინის ცალკე იდენტობას, ადმინისტრაციულ ავტონომიას ან ეთნოლინგვისტურ უფლებებს, – ეს ოფიციალური პოლიტიკას წარმადგენდა, – არამედ იმიტომ, რომ ის უკრაინა, რომელსაც ისინი აყალიბებდნენ და დიდებით მოსავდნენ, მხოლოდ შორეული, მაგრამ ცოცხალი წარსულიდან მომდინარე რურალურ უტოპიას წარმოადგენდა და არა ურბანული უტოპიას ახლო, მაგრამ ეთნიკურად ფრაგმენტირებული მომავლიდან.

ისინი ემოციურად დაკავშირებული რჩებოდნენ ძველ უკრაინასთან, რომელიც მოფენილი იყო ფერმებითა და საადგილმამულო სახლებით, ეს იყო ძირითადად აგრარული ქვეყანა, სადაც მიწის კერძო საკუთრებას მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა... ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი უკრაინის ინდუსტრიალიზაციისადმი და საბჭოთა ხუთწლიანი გეგმისადმი, რომელიც რესპუბლიკას გარდაქმნიდა და უზრუნველყოფდა დამოუკიდებელი ინდუსტრიული საფუძვლით. ისინი დასცინოდნენ დნეპრის ჰიდროელექტრულ სადგურს და საბჭოთა უკრაინიზაციას, არ სწამდათ მათი სერიოზულობის. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ გარეშე, ძველი უკრაინული ინტელიგენციის გარეშე, ჭეშმარიტი უკრაინიზაცია შეუძლებელი იყო. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მათ ეშინოდათ, რომ წაართმევდნენ მონოპოლიას კულტურაზე, ლიტერატურაზე, მეცნიერებაზე, ხელოვნებასა და თეატრზე.⁵

ნაციონალური ნიშნით განსაზღვრული ერთობების არსებობა და კონკრეტულ კულტურულ, ტერიტორიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ იდენტობაზე მათი მოთხოვნების ლეგიტიმურობა (რომელსაც სტალინი ნაციონალური უფლებების დაცვის პრინციპად მიიჩნევდა და რასაც მე „ნაციონალიზმს“ დავარქმევდი) არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ. „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ დანაშაული – ეს იყო ზოგიერთი „ბურჟუაზიული სპეციალისტის“ მცდელობა, რომ ასეთი საზოგადოებები დაემორჩინათ პარტიული ხაზისაგან; ეს იგივე იყო, რაც ზოგიერთი „ბურჟუა სპეციალისტის“ მცდელობა, გზისთვის აეცდინა საბჭოთა ინდუსტრია. „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში“ მონაწილეობა ნაციის საბოტაჟი იყო და არა ნაციის „მშენებლობა“.

1931 წელს „სოციალიზმის შეტევამ“ იკლო და 1934 წელს ის, ფაქტობრივად, შეწყდა მონიშნულმდეგეთა არარსებობის გამო. „გამარჯვებულთა ყრილობისადმი“ მიმართვაში სტალინი აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირმა საბოლოოდ „ამხილა საკუთარი თავი ყველაფერში, რაც კი ჩამორჩენილი და შუასაუკუნეობრივი იყო“, იგი იქცა ინდუსტრიულ საზოგადოებად, რომელიც ეფუძნებოდა სოლიდურ სოციალისტურ საფუძველს.⁶ ოფიციალური მიზნების შესაბამისად, დრო „დაიპყ“

¹ “Vskrytue klassovoi rozni.” იხ. N. Krupskaja, “O zadachakh natsional’no-kul’turnogo stroitel’stva v sviazi s obostreniem klassovoi bor’by,” *Prosveshchenie natsional’nostei* 4-5 (1930): 19.

² S. Dimanshtein, “Za klassovuiu chetkost’ v prosveshchenii natsional’nostei,” *Prosveshchenie natsional’nostei* 1 (1929): 9.

³ N. Bilibin, “U zapadnykh koriakov,” *Sovetskii Sever* 1-2 (1932): 207.

⁴ იხ. მაგალითად, Olcott, *The Kazakhs*, 219; Rakowska-Harmstone, *Russia and Nationalism*, 100-1.

⁵ D. Zaslavskii, “Na protsesse ‘vyzvolentsev,’” *Prosveshchenie natsional’nostei* 6 (1930): 13.

⁶ Stalin, *Sochineniia*, 13: 306, 309.

რეს“, ხოლო მომავალი ანმყოფად გადაიქცა. ყველა არსებითი განსხვავება გადალახულ იქნა, მთელი მეცნიერება მარქსისტული გახდა, ხოლო არამარქსისტული საქმიანობა, უბრალოდ, გაქრა. ჩამორჩენილობის არარსებობის პირობებში, არ არსებობა იმ ინსტიტუტების საჭიროება, რომლებიც მისი სხვადასხვა გამოვლინების დასაძლევად შეიქმნა: ქალთა დეპარტამენტი, ებრაელთა სექცია, ჩრდილოეთისასაზღვრო მიწების ხალხთა დახმარების კომიტეტი – ყველა დაიხურა. მეცნიერება *პედოლოგია* აიკრძალა, რადგანაც ის ამტკიცებდა, რომ ქალებს, უმცირესობებს და სოციალურად გაჭირვებულებს შეიძლებოდა დასჭირებოდათ სპეციალური დახმარება მოდერნიზაციის გზაზე. ეთნოლოგია აიკრძალა, რადგანაც ის მიიჩნევდა, რომ ზოგიერთი თანამედროვე კულტურა შეიძლებოდა ჯერ კიდევ ყოფილიყო პრიმიტიული ან ტრადიციული. დაბოლოს, აიკრძალა ხელოვნება, რომელიც არ მისდევდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, რადგანაც ხელოვნება ასახავდა რეალობას და საბჭოთა რეალობა მთლიანად სოციალისტური იყო.

მეთათვე ყრილობის თანახმად, რომელმაც ნაციონალიზმა ჩამორჩენილობასთან გააიგივა, ნაციონალიზმა აგრეთვე უნდა აკრძალულიყო. მაგრამ ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ გაუძლო ქარიშხალს და ხელახლა აღმოცენდა დაწმენდილი, მაგრამ უფრო ძლიერი სახით. „სტალინის პიკი“ არ წარმოადგენდა შემობრუნებას ნაციონალური მშენებლობის პოლიტიკაში, როგორც ამ პრობლემაზე მომუშავე ავტორები გვარწმუნებდნენ.¹ ის ცვლიდა ეთნიკურობის ფორმას, მაგრამ არასდროს უარყოფდა „ლენინურ პრინციპს“ – ერთობა მრავალფეროვნებაშია, რადიკალურად ამცირებდა ნაციონალური ერთეულების რაოდენობას, მაგრამ არასოდეს აყენებდა ეჭვქვეშ ამ ერთეულების ნაციონალურ არსს. ცენტრალური აზიის ბიუროს გაუქმება არ მოასწავებდა ნაბიჯს ეთნიკური ასიმილაციისაკენ იმაზე მეტად, ვიდრე ქალთა დეპარტამენტის გაუქმება წარმოადგენდა გენდერულ განსხვავებებზე შეტევის პრელუდიას. ისევე როგორც ახლად ემანსიპირებული საბჭოთა ქალი უნდა გამხდარიყო უფრო „ქალური“, სრულად მოდერნიზებული საბჭოთა ნაციონალობები უფრო ნაციონალურად უნდა გარდაქმნილიყვნენ. კლასი „შინაარსის“ ერთადერთ ლეგიტიმურ ფორმას წარმოადგენდა, 1930-იანი წლების მიწურულს კლასზე დაფუძნებული კვოტები, საარჩევნო უბნები და პირადობის ბარათები გაუქმდა.² თუმცა განსხვავებები „ფორმაში“ დაშვებული იყო, ამავე დროს, დაიშვებოდა ნაციონალიზმის (რომელიც „ფორმის“ ყველაზე საპატიო და სრულად დადასტურებულ ფორმას წარმოადგენდა) განვითარება, გადაჯგუფება და თვით მცირე შინაარსიც კი.

1930-იანი წლების დასაწყისის ყველაზე გასაოცარ სიახლეს წარმოადგენდა რუსების გადაქცევა საკუთრი და დამოუკიდებელი უფლებების მქონე ეთნიკურ ჯგუფად. რადგან კლასობრივი კრიტერიუმში არარელევანტური გახდა, ნაციონალიზმა ეთნიკურობით აღმოჩნდა გაჟღენთილი. არსებითი სახელი „ნაციონალური“ გაკრიტიკებული და, მოგვიანებით, განადგურებულ იქნა, რადგან „არა-ნაციონალური“ აღარაფერი დარჩა.³ თავიდან დიდი სიფრთხილით, შემდეგ კი სულ უფრო აქტიურად, პარტიამ დაიწყო რუსებისათვის ნაციონალური წარსულის, ნაციონალური ენის და ნაციონალური იკონოგრაფიის შექმნა, რომელსაც სათავეში ედგა ალექსანდრე პუშკინი – პროგრესული და „თავისუფლების მოყვარე“, მაგრამ ამკარად სახელგანთქმული როგორც დიდი რუსი და არა როგორც დიდი რევოლუციონერი. 1934 წლისთვის რუსი პროლეტარიატის „დერუსიფიცირება“ და მათი მიზანმიმართული განდევნა მოსკოვიდან, „კულტურული მშენებლობის“ პარალელურად, სერიოზულ დანაშაულად იქცა და არა „შეცდომად“, რაც სულსწრაფობისა და მოუთმენლობის შედეგი იყო.⁴ და, მაინც, რუსები ვერასდროს გადაიქცნენ სხვათა მსგავს ნაციონალიზმად. ერთი მხრივ, მათ არ გააჩნდათ მკაფიოდ განსაზღვრული ნაციონალური ტერიტორია (რსფსრ რჩებოდა ამორფულ „ყოველივე სხვა“ რესპუბლიკად და არასდროს მომხდარა მისი იდენ-

¹ ორი მნიშვნელოვანი გამონაკლისის სახით იხ: Barbara A. Anderson და Brian D. Silver, “Equality, Efficiency and Politics in the Soviet Bilingual Education Policy, 1934-1980,” *American Political Science Review* 78, no. 4 (October 1984): 1019-39; და Ronald Grigor Suny, “The Soviet South: Nationalism and the Outside World,” in Michael Mandelbaum, ed., *The Rise of Nations in the Soviet Union* (New York: Council of Foreign Relations Press, 1991): 69.

² Sheila Fitzpatrick, *Education and Social Mobility in the Soviet Union, 1921-1934* (Cambridge: Cambridge University Press, 1979), 235.

³ *Pervyi vsesoiuznyi s'ezd sovetskikh pisatelei. Stenograficheskii otchet* (Moscow: Khudozhestvennaia literature, 1934): 625.

⁴ მაგალითად, შეადარეთ Stalin, *Sochineniia*, 8: 149-54; და S. Dimanshtein, “Bol'shevistskii otpor natsionalizmu,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 4 (1933): 1-13; S.D., “Bor'ba s natsionalizmom i uroki Ukrainy,” *Revoliutsiia i natsional'nosti* 1 (1934): 15-22.

ტიფიცირება ეთნიკურ ან ისტორიულ „რუსეთთან“), საკუთარი პარტია, მათთვის არასდროს შეუქმნიათ ნაციონალური აკადემია. მეორე მხრივ – და, რა თქმა უნდა, სწორედ ამით აიხსნება ხარვეზი – რუსები სულ უფრო მეტად იდენტიფიცირდებოდნენ საბჭოთა კავშირთან, როგორც მთლიანობასთან. 1937-1939 წლებში კირილიცამ ჩაანაცვლა ლათინური ყველა სალიტერატურო სტანდარტში, რომელიც 1920-იან წლებში შეიქმნა, ხოლო 1938 წელს, სამწლიანი კამპანიის შემდეგ, რუსული სავალდებულო მეორე ენად იქცა ყველა არარუსულ სკოლაში. საბჭოთა წარსული სულ უფრო რუსული ხდებოდა, ისევე როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ზედა ემელონები.¹ „ინტერნაციონალიზმი“, რომელიც განისაზღვრებოდა როგორც მჭიდრო კავშირი საბჭოთა ნაციონალობებს შორის, მოგვიანებით – „ხალხთა მეგობრობა“, განსაზღვრული როგორც უფრო მჭიდრო კავშირი საბჭოთა ნაციონალობებს შორის, ოფიციალურ დოგმად გადაიქცა,² ორივე მათგანის გამოხატვა მხოლოდ რუსულ ენაზე – საბჭოთა lingua franca-ზე – შეიძლებოდა. და, მაინც, არავის არასდროს განუცხადებია, რომ არსებობდა „საბჭოთა ნაცია“ (ეთნიკურად არასპეციფიკური ხალხისაგან განსხვავებით), ან რომ რუსული უნდა გამხდარიყო პირველი ენა ყველა ნაციონალურ სივრცეში და ინსტიტუციაში. თვით კარელიაშიც კი, სადაც 1938 წელს ადგილობრივი ფინური სტანდარტი „ფაშისტურად“ მიიჩნეეს, ფინურენოვანი მოსახლეობა ძალადობრივად გადაიყვანეს ახლად ჩამოყალიბებულ „კარელიურზე“ და არა რუსულზე, რომელიც უკვე გადაქცეული იყო „ეთნოსთაშორისი კომუნიკაციის ენად“.³ რუსებმა დაიწყეს მათი მეზობლების დაშინება და საერთო საცხოვრებლის მათი ნაწილის (რომელიც მოიცავდა უზარმაზარ დარბაზს, დერეფანს და სამზარეულოს, სადაც ყველა ძირითადი გადანყვებილების მიღება ხდებოდა) მოწყობა, მაგრამ ისინი პრეტენზიას არ აცხადებდნენ, რომ მთელი საცხოვრებელი მათი იყო, ან რომ სხვა (დიდ) ოჯახებს არ უნდა ჰქონოდათ მათი საკუთარი ოთახები. მდგმურები სულ უფრო უთანასწორი ხდებოდნენ, მაგრამ საიმედოდ იყვნენ განცალკევებულნი.

დიდი ტრანსფორმაციის კულტურა თავისი არსით უსაფუძვლო, მყიფე და კარნავალური იყო. მოხუცები ყმანვილებივით იქცეოდნენ, ბავშვები – დიდებივით; ქალები კაცებივით იცვამდნენ (თუმცა არა პირიქით), კლასები ცვლიდნენ ადგილს და სიტყვები კარგავდნენ მნიშვნელობას. ხალხები, შენობები, ენები და ნაციონალობები განუწყვეტლივ მრავლდებოდნენ, გადაადგილდებოდნენ და სწრაფად ვრცელდებოდნენ რამდენიმე დონიან და არაცენტრალიზებულ გარემოში. მაგრამ ეს პროლეტარული პოსტმოდერნიზმი ნაადრევი აღმოჩნდა. 1930-იანი წლების დიდი უკანდახევა სიზუსტის შურისძიებას წარმოადგენდა – რეალური კორენიზაციის ტრიუმფს, „ფესვებისაკენ მიბრუნებას“ ან „რადიკალიზაციას“. მიზიდულობის ძალა (ორივე გაგებით) შენობებს ნიადაგზე ამაგრებდა, გლეხებს – მიწაზე, მუშებს – ქარხნებზე, ქალებს – კაცებზე და საბჭოებს – საბჭოთა კავშირზე.⁴ ამავე დროს და ამავე გზით, თითოეული ინდივიდი მიჯაჭვული იყო თავის ნაციონალობას, ხოლო ნაციონალობების უმეტესობა მათს საზღვრებს იყო მიჯაჭვული. 1930-იანი წლების დასაწყისში, კოლექტებში მისაღები გამოცდების ხელახლა დაწესებასთან ერთად და ცოტა ხნით ადრე პირადი საქმეების (личные дела), შრომის წიგნაკებისა (трудовые книжки) და საზღვარგარეთ გაღწევისთვის სიკვდილით დასჯის შემოღებამდე, ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის დაწესდა შიდა პასპორტი, რომელიც ფორმალურად განსაზღვრავდა მათ ვინაობას სახელით, დაბადების ადგილით, ჩანერით (прописка) და ნაციონალობით. პიროვნების სახელი და ჩანერა შეიძლებოდა შეცვლილიყო, მაგრამ ნაციონალობის შეცვლა შეუძლებელი იყო. ათწლეულის დასასრულისთვის, ყველა საბჭოთა ბავშვი მის ნაციონალობას დაბადებისთანავე ღებულობდა: ინდივიდუალური ეთნიკურობა ბიოლოგიურ კატეგორიად იქცა, რომელზეც არ მოქმედებდა კულტურული, ლინგვისტური ან გეოგრაფიული ცვლილებები.⁵ ამავე დროს, კოლექტიური ეთნიკურობა უფრო და უფრო ტერიტორიული ხდებოდა. ადმინისტრაციული ერთეულები, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ შეიქმნა იმისთვის, რომ მანამდე არსებული ნაციონალობებისთვის გარკვეული ადგილი

¹ Simon, *Nationalism*, 148-55.

² სტალინის გამოსვლის შემდეგ პარტიის მე-17 ყრილობაზე და ტაჯიკეთის და თურქმენეთის წამყვან კოლმეურნე ფერმერთა კონფერენციაზე (იხ. Stalin, *Sochineniia*, 13: 361; 14 [1]: 114-115).

³ Paul M. Austin, „Soviet Karelian: The Language That Failed,” *Slavic Review* 51, no. 1 (Spring 1992), esp. 22-23.

⁴ რეალურად ეს ვლადიმირ პაპერნის მომხიბლავი ნაშრომის *Kul'tura Dva* (Ann Arbor: Ardis, 1985) მოკლე შინაარსია.

⁵ „საპასპორტო სისტემის“ შესახებ იხ. Victor Zaslavsky, *The Neo-Stalinist State* (Armonk, N.Y.: M.E. Sharpe, 1982), 92ff.

გამოძებნილიყო, ამ ნაციონალობების განმსაზღვრელ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად იქცა. ყველაზე ტიპური და ფართოდ გავრცელებული არგუმენტი რომ მოვიყვანოთ, „ის ფაქტი, რომ ეთნიკურ ჯგუფს ჰქონდა მისი საკუთარი ნაციონალური ტერიტორია – რესპუბლიკა, ოლქი, უბანი ან სოფლის საბჭო – იმის საბუთია, რომ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი ოფიციალურად აღიარებული ნაციონალობაა... მაგალითად, ნაგაიბაკის ნაციონალური ერთეულის არსებობა ჩელიაბინსკის ოლქში აუცილებელს ხდის განსაკუთრებული ნაციონალობის – ნაგაიბაკის – განსხვავებას თათრებისაგან“.¹

ამგვარადვე, ებრაელები გადაიქცნენ ჭეშმარიტ ნაციად ებრაული ავტონომიური ერთეულის შექმნის შემდეგ ბირობიჯანში.

მათი საკუთარი ტერიტორიის და სახელმწიფოებრიობის მიღების შემდეგ, საბჭოთა კავშირის მშრომელმა ებრაელობამ ის მნიშვნელოვანი ელემენტი შეიძინა, რომელიც ადრე არ გააჩნდა და რაც მათ ნაციად მიჩნევას წარმოუდგენელს ხდიდა, ამ ცნების მეცნიერული გაგებით. ისე მოხდა, რომ სხვა მრავალი საბჭოთა ნაციონალობის მსგავსად, რომლებიც ასრულებდნენ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესს, ებრაული ნაციონალური უმცირესობა გახდა ნაცია, საბჭოთა კავშირში საკუთარი ნაციონალური ადმინისტრაციული ერთეულის მიღების შედეგად.²

ეს შეხედულება ორ მნიშვნელოვან სიახლეს უკავშირდება. პირველ რიგში, 1913 წლის შემდეგ, პირველად მოხდა მიბრუნება ფორმალური ეთნიკური იერარქიისაკენ. სხვადასხვა ეთნოტერიტორიულ ერთეულს (რესპუბლიკები, ოლქები, რეგიონები) ყოველთვის ჰქონდათ განსხვავებული სტატუსები, მაგრამ არ ყოფილა სერიოზული მცდელობა, რომ ეს ბიუროკრატიული წესრიგი ეთნიკურობის ობიექტურ, მკაცრად ევოლუციურ იერარქიასთან დაეკავშირებინათ. 1930-იანი წლების შუა ხანებიდან სტუდენტები, მწერლები, დამკვრელი მუშები ისევე უნდა ყოფილიყვნენ ფორმალურად იერარქიზებული, როგორც ნაციონალობები. მეორე მხრივ, თუ ეთნიკური ერთობის ლეგიტიმურობა დამოკიდებული იყო ხელისუფლების მიერ ტერიტორიის ბოძებაზე, მაშინ ამ უფლების ჩამორთმევა ავტომატურად გამოიწვევდა ამ ერთობის (თუმცა არა აუცილებლად ინდივიდების, რომლებიც პასპორტს ფლობდნენ!) „დენაციონალიზაციას“. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც დეკადის მეორე ნახევარში ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ 192 ენის და, პოტენციურად, 192 ბიუროკრატიის ხელმძღვანელობა არც ისე კარგი იდეა იყო. სახელმძღვანელოების, მასწავლებლების და სტუდენტების „წარმოება“ ვერ „მიჰყვებოდა“ ფორმალურ „ნაციონალიზაციას“, სრულად ბიუროკრატიზებულად მართული ეკონომიკა და ახლად ცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემა საჭიროებდა მართვად და კარგად აწყობილ საკომუნიკაციო არხებს; გათვითცნობიერებული რუსი „დანინაურებულები“, რომლებიც ყველა უმაღლეს პოზიციას ფლობდნენ მოსკოვში დიდი ტერორის შემდეგ, ალბათ, სიმპათიით იყვნენ განწყობილი საჩივრებისადმი ანტი-რუსული დისკრიმინაციის გამო (ისინი თვითონ სარგებლობდნენ კლასობრივ კუთვნილებაზე დაფუძნებული კვოტებით). დეკადის მიწურულს გაუქმდა ეთნიკურად განსაზღვრული საბჭოების, სოფლების, რაიონების და სხვა მცირე ერთეულების უმრავლესობა, ზოგიერთი ავტონომიური რესპუბლიკა დაინიშნულ იქნა, ხოლო „ნაციონალური უმცირესობის“ სკოლების და ინსტიტუტების უმეტესობა დაიხურა.³

თუმცა, და ეს ამ ესეს ყველაზე მნიშვნელოვანი *თუმცაა*, ეთნიკურ ჯგუფებს, რომელთაც უკვე ჰქონდათ საკუთარი რესპუბლიკები და განშტოებული ბიუროკრატიები, მიეცათ მითითება, რომ გაეორმაგებინათ განსხვავებული ნაციონალური კულტურების მშენებლობის მცდელობები. ისევე როგორც „მოსკოვის რეკონსტრუქცია“ იცვლებოდა საქალაქო სივრცის გარდასახვის გრანდიოზული ხედვებიდან არტიფაქტების შექმნის კონკრეტულ მცდელობამდე,⁴ ნაციონალურ-მა პოლიტიკამაც უარი თქვა საფუძვლის არმქონე უთვალავი ნაციონალობის შექმნაზე, იმისთვის რომ სრულად კონცენტრირებულიყო რამდენიმე, მაგრამ მომნიშვნელოვან და დასრულებულ „ნაციონაზე“. იმ დროს, როდესაც ეთნიკური კვოტების შემცირებამ და ყურადღების ხელახალმა გამახვი-

¹ L.Krasovskii, “Chem nado rukovodstvovat’ sia pri sostavlennii spiska narodnostei SSSR,” *Revoliutsiia i natsional’nosti* 4 (1936): 70-71.

² S.Dimanshtein, “Otvét na vopros, sostavliaiut li soboi evrei v nauchnom smysle natsiui,” *Revoliutsiia i natsional’nosti* 10 (1935): 77.

³ Simon, *Nationalism*, 61.

⁴ Greg Castillo, “Gorki Street and the Design of the Stalin Revolution,” in Zeynep Celik, Diane G. Favro and Richard Ingersoll, eds. *Streets: Critical Perspectives on Public Space* (Berkeley: University California Press, 1994).

ლებამ საბჭოთა მერიტოკრატიაზე („კადრების ხარისხზე“) შეანელა, და ზოგჯერ შეცვალა კიდევ, ინდიგენიზაციის პროცესი პარტიაში და მმართველ ბიუროკრატებში, ნაციონალური კულტურების ზეიმი და ადგილობრივი ინტელიგენციების შექმნის პროცესი წარმოუდგენლად გააქტიურდა. უზბეკური ერთობები უზბეკეთის მიღმა მიატოვეს, მაგრამ უზბეკეთი, როგორც კვაზი-ნაცია-სახელმწიფო შენარჩუნდა, გათავისუფლდა მის ტერიტორიაზე მდებარე უცხო ანკლავებისგან და კონცენტრირდა მის ისტორიასა და ლიტერატურაზე. საბჭოთა საცხოვრებელში უფრო ცოტა ოთახი დარჩა, თუმცა ის ოთახები, რომლებიც შენარჩუნდა, გულუხვად უნდა მორთულიყო მუდმივი საცხოვრებლის რელიკვიებით, პაპისეული საათებით და სიყვარულით შენახული საოჯახო პორტრეტებით.

მართლაც, 1934 წლის საბჭოთა მწერლების ყრილობა, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა „მაღალი სტალინიზმის“ კულტურულ პარადიგმად ინაუგურაცია, ძველმოდური რომანტიკული ნაციონალიზმის ბრწყინვალე პარადს წარმოადგენდა. პუშკინი, ტოლსტოი და სხვა ოფიციალურად აღდგენილი რუსული ხატები საერთაშორისო მნიშვნელობის ერთადერთ ნაციონალურ გიგანტებს არ წარმოადგენდნენ – ყველა საბჭოთა ხალხს ჰყავდა ან სულ მალე ეყოლებოდა საკუთარი კლასიკოსები, საკუთარი დამფუძნებელი მამები და საკუთარი ფოლკლორული სიმდიდრე. უკრაინელმა დელეგატმა განაცხადა, რომ ტარას შევჩენკო „გენიოსი“ და „კოლოსი“ იყო, „რომლის როლი უკრაინული სალიტერატურო ენის შექმნაში არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ, ვიდრე პუშკინის როლი რუსული სალიტერატურო ენის შექმნაში, შეიძლება, უფრო დიდია კი“.¹ სომეხი დელეგატი აღნიშნავდა, რომ მისი ნაციის კულტურა „აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი კულტურა იყო“, სომხური ნაციონალური ანბანი უფრო ძველი იყო, ვიდრე ქრისტიანობა, და რომ სომხური ნაციონალური თქმულება, „მსოფლიოს ეპიკური ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა“, თავისი „წარმოსახვის ცხოვრებისეული რეალიზმით, დახვეწილობით, ხალხური სიბრძნის სიღრმითა და ფაბულის დემოკრატიულობით“.² აზერბაიჯანელი დელეგატი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ სპარსი პოეტი ნიზამი – „განჯელი თურქი“ – სინამდვილეში აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსი იყო და რომ მირზა ფათალი ახუნდოვი ღარიბი აზნაური მწერალი კი არ იყო, როგორც ამას ზოგიერთი პროლეტარი კრიტიკოსი ამტკიცებდა, არამედ ის იყო „დიდი ფილოსოფოს-სცენარისტი“, რომელიც მრავალფეროვნებითა და რეალისტურობით ტოლს არ უდებდა გრიბოედოვს, გოგოლსა და ოსტროვსკის“.³ თურქმენმა დელეგატმა კონგრესს უამბო მეთვრამეტე საუკუნის „თურქული პოეზიის კორიფეს“ მაჰმუდ-ყულის შესახებ; ტაჯიკმა დელეგატმა განმარტა, რომ ტაჯიკური ლიტერატურა სათავეს იღებს რუდაქის, ფირდოუსის, ომარ ხაიამისაგან და „მსოფლიოს სხვა ბრწყინვალე ხელოვანებისგან“; ქართველი დელეგატი გამოვიდა განსაკუთრებულად ვრცელი მიმართვით, რომელშიც ამტკიცებდა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ „საუკუნეებით უსწრებდა წინ დასავლეთ ევროპის ინტელექტუალურ მოძრაობებს“, ბევრად აღემატებოდა დანტეს და, ზოგადად, ე.წ. შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს „უდიდეს სალიტერატურო ქმნილებას წარმოადგენდა“.⁴

ახალი პარტიული ხაზის თანახმად, ყველა ოფიციალურად აღიარებულ საბჭოთა ნაციონალობას უნდა ჰქონოდა საკუთარი, ნაციონალური „დიდი ტრადიციები“, რომლებიც საჭიროებდნენ დაცვას, გაუმჯობესებას და, საჭიროების შემთხვევაში, გამოგონებას ამ მიზნით შექმნილ ინსტიტუტებში სპეციალურად განვრთნილი პროფესიონალების მიერ. კულტურის „სიდიადე“ დამოკიდებული იყო მის ადმინისტრაციულ სტატუსზე (მოკავშირე რესპუბლიკებით სათავეში და არატერიტორიული ნაციონალობებით დამთავრებული, რომლებსაც ჰქონდათ „კულტურა“, თუმცა კი მწირი). თუმცა ამ კატეგორიაში ყველა ნაციონალური ტრადიცია, რუსულის გარდა, თანაბარი მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო – სიტყვიერად ეს ყოველთვის ასე არ იყო (უკრაინა ზოგჯერ მეორე ადგილზე მოიხსენიებოდა, მაშინ როდესაც, ცენტრალური აზია ხშირად იხსენიებოდა ჩამორჩენილად), თუმცა ინსტიტუციურად ყველა ნაციონალური ტერიტორია ზედმინევნით სიმეტრიული უნდა ყოფილიყო – პარტიული აპარატით დანყებული, სასკოლო სისტემით დამთავრებული. ეს იყო ძველი საბჭოთა პოლიტიკა, მაგრამ 1930-იანი წლები აღინიშნებოდა დარჩენილი უთანასწორობების აღმოფხვრის მცდელობით და კულტურის მწარმოებელი ინსტიტუტების მიზანმი-

¹ *Pervyi vsesoiuznyi s'ezd*, 43, 49.

² იქვე, 104.

³ იქვე, 116-17.

⁴ იქვე, 136, 142, 77.

მართული შექმნით. დეკადის დასასრულისთვის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონდა საკუთარი მწერალთა კავშირი, თეატრები, ოპერა და ნაციონალური აკადემიები, რომლებიც უმთავრესად სპეციალიზდებოდნენ ნაციონალურ ისტორიებზე, ლიტერატურასა და ენაზე.¹ რესპუბლიკური გეგმები, რომლებსაც მოსკოვი ამტკიცებდა, მოუწოდებდა კიდევ უფრო დიდი რაოდენობით სახელმძღვანელოების, სპექტაკლების, ნოველების, ბალეტის და მოკლე მოთხრობების შექმნისაკენ; ყველა მათგანი იყო ფორმით ნაციონალური (რაც ლექსიკონების, ფოლკლორული გამოცემების და „კლასიკური“ სერიების შემთხვევაში შინაარსითაც სახიფათოდ ნაციონალური ხდებოდა).

თუ ზოგიერთ რესპუბლიკას უჭირდა სხვების დაწვევა, მაშინ მოსკოვი ცდილობდა, იძულებული გაეხადა ისინი ასე მოქცეულიყვნენ. მაგალითად, 1935 და 1936 წლებში, ახლად შექმნილი თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი ქმნიდა (ან უკვე შექმნილი ჰქონდა 11 ნაციონალური თეატრის კოლექტივი) მსახიობებს საკუთარი სრული დასით და სრული რეპერტუარით.² თუ ნაციონალური რეპერტუარი ჯერ კიდევ არ იყო სრული, მაშინ აქტიურად ახალისებდნენ თარგმნას, მეტწილად მეცხრამეტე საუკუნის რუსული და დასავლეთევროპული ლიტერატურიდან (ახალი ბაშკირული ოპერის პირველი ნიმუში იყო *თავადი იგორი* (1936) და *ფიგაროს ქორწინება* (1936)).³ 1930-იანი წლების მიწურულს თარგმანი ერთ-ერთ ძირითად საბჭოთა ინდუსტრიას და ასობით პროფესიონალი მწერლის ძირითად საარსებო წყაროს წარმოადგენდა. „ხალხთა მეგობრობის“ თეზისი მოითხოვდა, რომ ყველა საბჭოთა ნაციონალობაზე გავლენა მოეხდინა სხვა საბჭოთა ნაციონალობების ხელოვნებას. როგორც გორკი აღნიშნავდა, „ჩვენ უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი წარსულის ცოდნა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბელორუსმა იცოდეს, რას წარმოადგენს ქართველი და თურქი, და ა.შ.“⁴ ამის შედეგი იყო არა მხოლოდ გაცხობველბული მთარგმნელობითი საქმიანობა, არამედ საბჭოთა კავშირის ისტორიების შექმნა, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ყველა საბჭოთა ხალხი, რადიო შოუები, რომლებიც საბჭოთა მსმენელს აწვდიდა „ქართულ პოლიფონიას და ბელორუსულ ხალხურ სიმღერებს“; რეგულარულად ეწყობოდა „მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლების“ ასობით ტური; აზერბაიჯანული ხელოვნების დეკადა უკრაინაში, სომხური პოეზიის საღამოები მოსკოვში, თურქმენული ხალიჩების გამოფენა ყაზანში და მომღერალთა ნაციონალური გუნდების, ათლეტების და ნორჩი პიონერების ფესტივალები მთელი ქვეყნის მასშტაბით. 1930-იანი წლების შუა ხანებიდან 1980-იანი წლების ჩათვლით, ეს საქმიანობა საბჭოთა ოფიციალური კულტურის ყველაზე უფრო თვალსაჩინო (და უდავოდ ნაკლებად პოპულარულ) ასპექტს წარმოადგენდა.

ნაციონალური კულტურების ყოველდღიური შექმნა და პროპაგანდა, რა თქმა უნდა, არ იყო რიგითი და უმტკივნეულო მოვლენა. მწერალთა პირველი ყრილობის ჩატარებიდან 10 წლის მანძილზე ახალი კულტურული ინსტიტუტების დამფუძნებელი მამები დაიღუპნენ. დიდი ტერიტორიები ანექსირებულ იქნა, დაიკარგა და კვლავ მოხდა მათი ანექსირება; მრავალი პატარა ზომის ეთნიკური ერთეული გაუქმდა, როგორც „უპერსპექტივო“; რამდენიმე ნაცია და ყოფილი „ნაციონალური უმცირესობა“ ძალადობრივად იქნა დეპორტირებულნი მათი ტერიტორიებიდან. ამავე დროს, რუსები ნაციონალური წარსულის გამაცოცხლებელი რევოლუციური ხალხიდან „საბჭოთა კავშირის ყველაზე გამორჩეულ ნაციად“⁵ და მსოფლიო ისტორიის ცენტრად იქცნენ. არარუსული „დიდი ტრადიციების“ ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ დამდგარა. რუსეთის, როგორც პროგრესის წყაროს ძირითადი მტერი „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“ და „უსაფუძვლო კოსმოპოლიტიზმი“ იყო. ეს უკანასკნელი კორენიზაციის, როგორც „ფესვგადგმულობის“ სანინააღმდეგო ფენომენად გვევლინებოდა. თვით 1936-1939 წლებში, როდესაც ასობით ნაციონალისტს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, „მთელი საბჭოთა ქვეყანა“ ხმაურთანად აღნიშნავდა ფირდოუსის 1000 წლისთავს, რომელსაც ტაჯიკები მათი (და არა სპარსული) ლიტერატურის დამფუძნებლად მიიჩნევდნენ; მირალი შირნავაის (ალიშერ ნავოის) 500 წლისთავს, რომელიც უზბეკების მიერ მათი კულტურის (და არა ჩალათას) დიდ კლასიკოსად იყო გამოცხადებული, ტარას შევჩენკოს 125 წლისთავს, რომელ-

¹ Zaslavsky, “Nationalism and Democratic Transition,” 102.

² ჩრდილოეთ ოსები, იაკუტები, ყაზახები, ყირგიზები, ყარა-კალპაკები, ყაზარდოელები, ბალყარელები, თურქმენები, ტაჯიკები, ადიღეელები და ყალმუხები (იხ. A. Furmanova, “Podgotovka natsional’nykh kadrov dlia teatra,” *Revoliutsiia i natsional’nosti* 5 [1936]: 29-30).

³ A. Chanyshev, “V bor’be za izuchenie i sozdanie natsional’noi kul’tury,” *Revoliutsiia i natsional’nosti* 9 (1935): 61.

⁴ *Pervyi vsesoiuznyi s’ezd*, 43. “თურქი” აღნიშნავს „აზერბაიჯანელს“.

⁵ Stalin, *Sochineniia* 2 (XV): 204.

საც პრავდა „უკრაინელი ხალხის დიდ შვილად“ მოიხსენიებდა, ვინც „უკრაინული ლიტერატურა იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომელიც დაამშვენებდა მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ხალხს“.¹ მცირერიცხოვანი ნაციონალური ხატები ამ პერიოდის მსხვერპლად იქცნენ არა ნაციონალურ ხატად ყოფნის, არამედ ანტირუსულობის გამო.² ასევე, როდესაც უკრაინელი პოეტი ვოლოდიმირ სოსიურა 1951 წელს *პრავდა*-მ გაამათრახა მისი პოემისთვის „*გიყვარდეს უკრაინა*“, მთავარ ცოდვად მიჩნეულ იქნა არა უკრაინის გადამეტებული სიყვარული, არამედ უფროსი ძმისადმი არასაკმარისი მადლიერება.³ მადლიერების მთავარი მიზეზი იყო დასავლეთ უკრაინის საბჭოთა ანექსირება და ამის შედეგად უკრაინული ერი-სახელმწიფოს „რე-უნიფიკაცია“, ეს საბჭოთა/რუსული მიღწევა უკრაინული ნაციონალური მისწრაფებების დაკმაყოფილებად ცხადდებოდა.

რუსული სიცრუის ბრწყინვალეების ამ პერიოდში არარუსების ნაციონალური მისწრაფებების თეორიული გამართლება ნათლად იქნა ჩამოყალიბებული. 1948 წლის 7 აპრილს სტალინმა თქვა ის, რაც ძალიან გავდა მის 1913 წლის განცხადებას ნაციონალური უფლებების შესახებ:

ყველა ნაციას, დიდი იქნებოდა თუ პატარა, საკუთარი, სპეციფიკური მახასიათებლები და თავისებურებანი გააჩნდა, რომელიც მისთვის განსაკუთრებული იყო და რომელიც არ გააჩნდა სხვა ნაციებს. ამ ნიშან-თვისებების წყალობით, ყველა ნაცია შეადგენს *მსოფლიო კულტურის ერთიან საგანძურს* და ამდიდრებს მას. ამგვარად, ყველა ნაცია, პატარა თუ დიდი, ერთსა და იმავე მდგომარეობაში არიან და ყველა ნაცია თანასწორია სხვა ნაციებთან მიმართებაში.⁴

აქედან გამომდინარე, ეთნიკურობა უნივერსალური და იმთავითვე მორალური იყო. მაგრამ ეს მხოლოდ ოფიციალური განცხადება გახლდათ. 1950 წლის ზაფხულში სტალინმა კალამს მოჰკიდა ხელი, რათა განედევნა ნ.ი.მარის – დიდი ტრანსფორმაციის ერთ-ერთი უკანასკნელი წმინდანის – სული. მისი თეორიები და სტუდენტები გადაურჩნენ სხვათა ბედს, ვინც „მარქსიზმის გამარტივებას და ვულგარიზებას“ ცდილობდა.⁵ სტალინის თანახმად, ენა არ იყო სუპერსტრუქტურის და, რა თქმა უნდა, არც ბაზისის ნაწილი. ის „მთელი ნაციის საკუთრება იყო“ და „საერთო იყო მთელი საზოგადოებისთვის“ – ყველა სოციალური კლასისათვის მთელი ისტორიის მანძილზე. „საზოგადოებები“ ეთნიკურ ერთობებს წარმოადგენდნენ და ეთნიკური ერთობების „არსი“ „შეუდარებლად ხანგრძლივად არსებობდა, ვიდრე სხვა რომელიმე ბაზა ან სუპერსტრუქტურა“.⁶ მოკლედ, ოფიციალურად, კლასები და მათი „იდეოლოგიები“ მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მაგრამ ნაციონალობები რჩებოდნენ. ქვეყანაში, სადაც არ არსებობდა სოციალური კონფლიქტები, ეთნიკურობა ერთადერთ მნიშვნელოვან იდენტობად გვევლინებოდა.

ეს იყო მემკვიდრეობა, რომელიც სტალინმა დაუტოვა თავის შთამომავლებს და რომელიც შენარჩუნდა 1984 წლამდე იმისთვის, რომ მოსვენება არ მიეცა გორბაჩოვისთვის და მისი მემკვიდრეებისათვის. ხრუშჩოვმა, ადგილობრივი ინიციატივისათვის ბრძოლაში, განამტკიცა ნაციონალური ელიტების პოზიციები, განმტკიცებული ნაციონალური ელიტების წინააღმდეგ ბრძოლაში კი ის შეეცადა ხელი შეეწყოს ეთნიკურად „ბრმა“ საკადრო პოლიტიკისათვის და ზოგიერთები შეაშინა კიდევ „ნაციების შერწყმის“ დოქტრინის აღდგენით. შერწყმა უნდა მომხდარიყო კომუნის პირობებში, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა დამდგარიყო, რათა ის სერიოზულად აღექვათ. ამ მიმართულებით ერთადერთი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა 1959 სასკოლო რეფორმით, რომელიც მშობლებს თავისუფალი არჩევანის საშუალებას აძლევდა რუსულ და არარუსულ სკოლებს შორის, ხოლო „სხვა“ ენა არჩევითი სტატუსით შემოჰქონდა. თეორიულად, ყაზახური შეიძლებოდა რუსულზე წინ დამდგარიყო; რუსი აღარ იყო იძულებული, ყაზახური ესწავლა.⁷ ამ-

¹ “Khronika,” *Revoliutsiia i national'nosti* 8 (1936): 80; Rakowska-Harmstone, *Russia and Nationalism*, 250-59; Allworth, *The Modern Uzbeks*, 229-30; Yaroslav Bilinsky, *The Second Soviet Republic: The Ukraine after World War II* (New Brunswick: Rutgers University Press, 1964), 191.

² Lowell Tillet, *The Great Friendship: Soviet Historians on the Non-Russian Nationalities* (Chapel Hill: University of North Carolina Press, 1969), passim.

³ Bilinsky, *The Second Soviet Republic*, 15-16; Robert Conquest, *Soviet Nationalities Policy and in Practice* (New York: Praeger, 1967), 65-66.

⁴ Stalin, *Sochineniia* 3 (XVI): 100.

⁵ იქვე, 146.

⁶ იქვე, 117, 119, 138.

⁷ იხ. Yaroslav Bilinsky, “The Soviet Education Laws of 1958-9 and Soviet Nationality Policy,” *Soviet Studies* 14, no. 2 (October 1962): 138-57.

კარად ჰომოგენური სომხეთი და ლიტვა ნაკლებად წუხდნენ ამის გამო, „რაოდენობრივად მცირე“ ეთნიკური ბიუროკრატია რსფსრ-ში კი ემზადებოდა ლატვიის, უკრაინის და აზერბაიჯანის ძლიერი ელიტების სასონარკვეთილი ბრძოლისათვის, რომელიც ლინგვისტური თვალსაზრისით საშინაო და პოლიტიკურად ძლიერი იყო, ეს ბრძოლა გარდაუვალი იქნებოდა. მათი არგუმენტი 30 წლის შემდეგ შეაჯამა ოლეს ჰონჩარმა: „ვისწავლოთ თუ არა მშობლიური ენა სკოლაში? – ეს შეკითხვა არ შეიძლება დამდგარიყო რომელიმე ცივილიზებულ ქვეყანაში“.¹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცივილიზებული ქვეყანა ეთნო-ნაციონალური სახელმწიფო იყო, სადაც ოფიციალური ენა თავისი განსაზღვრებით „მშობლიური“ იყო. სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ნაყოფი გამოიღო.

ცივილიზებული სტალინიზმი („განვითარებული სოციალიზმი“) „კოლექტიური ლიდერობის“ კრედოს წარმოადგენდა, რომელიც აგვირგვინებდა საბჭოთა კავშირის დაისის წლებს. ახალი ოფიციალური დისკურსი, რომელიც ლეგიტიმაციას იღებდა „რეალურად არსებული“ ეთნოტერიტორიული სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოსაგან, და არა მომავალი კომუნიზმისა და წარსული რევოლუციისაგან, ინარჩუნებდა კლასის ენას და ნაციონალობას სისტემის გასამყარებლად იყენებდა.² ყველა საბჭოთა მოქალაქე იზადებოდა გარკვეული ნაციონალობით, სკოლის დამთავრების შემდეგ, 16 წლის ასაკში, ოფიციალურად ადასტურებდა და ატარებდა მას კუბოს კარამდე, ათასობით სააპლიკაციო ფორმის, სერთიფიკატის, კითხვარის და მისაღების გავლით. ის მნიშვნელოვან განსხვავებას ქმნიდა სკოლაში მიღებისას, დასაქმების, დაწინაურების და სამუშაოზე განაწილების დროს.³ საბჭოთა ანთროპოლოგებს, რომლებიც 1930-იანი წლების ბოლოს „მკვდრეთით აღდგენ“ და რომელთა არსებობას აზრი მიეცა მარიზმის განდევნის შემდეგ, არ უნდა შეესწავლათ „კულტურა:“ მათი ამოცანა იყო განესაზღვრათ, გაენალიზებინათ და დამტკიცებინებინათ პრიმორდიალური „ეთნოსით“. საზღვარგარეთაც, სამყაროში, სადაც კაპიტალიზმი დომინირებდა, ყველაზე თვალსაჩინო ღირსებად „ნაციონალური გათავისუფლება“ მიიჩნეოდა.

ყველა ნაციონალობა რანჟირებული იყო, თეორიულად – ევოლუციური სკალის გაყოფებით ტომიდან ნაციამდე, ხოლო პრაქტიკულად – ტერიტორიული და სოციალური სტატუსით. კონკრეტული ნაციონალობის სტატუსი შეიძლება მნიშვნელოვნად ცვალებადობდა, მაგრამ ეთნიკური კვოტების მუდმივი გამოყენება სატიტულო ნაციების წევრებს, რომლებიც „საკუთარ“ რესპუბლიკებში ცხოვრობდნენ, გარკვეული პრაქტიკული სარგებლით უზრუნველყოფდა. ამ სისტემის 60-წლიანი მდგრადი არსებობის შედეგი იყო „ადგილობრივთა“ ტოტალური კონტროლი უმეტეს მოკავშირე რესპუბლიკებში: დიდი ეთნიკური ელიტები დაწინაურებას და ლეგიტიმურობას (როგორც ეს რეალურად იყო) მათ ეთნიკურ კუთვნილებას უმაღლოდნენ,⁴ პოლიტიკური და კულტურული მენარმეები, რომლებიც ფინანსურად მოსკოვზე იყვნენ დამოკიდებულნი, თავიანთ ერთგულებას „საკუთარ ხალხს“ და საკუთარ ნაციონალურ სიმბოლოებს უკავშირებდნენ. მაგრამ თუ პოლიტიკოსი სტრუქტურულად შეზღუდული იყო აპარატით, ინტელექტუალები სპეციალურ მომზადებას გადიოდნენ და მათსაგანგებოდ ამზადებდნენ ნაციონალური კულტურების შესაქმნელად. ცენზორის მიერ დაწესებული იყო გარკვეული ლიმიტი, მაგრამ მიზანი ლეგიტიმიზებული იყო როგორც პარტიული სპონსორების, ასევე ნაციონალური მომხმარებლების მიერ. ნაციონალური ინტელექტუალების დიდ უმრავლესობას პროფესიონალი ისტორიკოსები, ფილოლოგები და მწერლები წარმოადგენდნენ და მათი უმეტესობა საკუთარი ეთნიკური ჯგუფისთვის ან ეთნიკური ჯგუფის შესახებ წერდა.⁵ ისინი მრავალტომიან ნაციონალურ ისტორიებს ქმნიდნენ, იგონებდნენ ნაციონალურ გენეალოგიებს, განწმენდნენ ნაციონალურ ენებს, იცავდნენ ნაციონალურ საგანძურს და წუხდნენ ნაციონალური წარსულის დაკარგვის გამო.⁶ სხვაგვარად რომ ვთქვათ,

¹ დამონებულია ავტორის მიერ: Isabelle T. Kreindler, “Soviet Language Planning since 1953,” in Kirkwood, ed., *Language Planning*, 49. აგრეთვე იხ. Bilinsky, *The Second Soviet Republic*, 20-35; Farmer, *Ukrainian Nationalism*, 134-43; Grey Hodnett, “The Debate over Soviet Federalism,” *Soviet Studies* 28, no. 4 (April 1967): 458-81; Simon, *Nationalism*, 233-64.

² უფრო კონკრეტულად იხ. Lapidus, “Ethnonationalism and Political Stability,” 355-80; Zaslavsky, “Nationalism and Democratic Transition;” Farmer, *Ukrainian Nationalism*, 61-73.

³ Rasma Karklins, *Ethnic Relations in the USSR: The Perspectives from Below* (Boston: Unwin Hyman, 1986).

⁴ იხ. Roeder, “Soviet Federalism,” 196-233.

⁵ Rakowska-Harmstone, “The Dialectics,” 10-15. Cf. Miroslav Hroch, *Social Preconditions of National Revival in Europe* (New York: Cambridge University Press, 1985).

⁶ უფრო კონკრეტულად იხ. Farmer, *Ukrainian Nationalism*, 85-121. აგრეთვე Allworth, *The Modern Uzbeks*, 258-59; Simon, *Nationalism*, 281-82.

ისინი მოქმედებდნენ როგორც კარგი პატრიოტები და არა როგორც ცუდი ნაციონალისტები. დროთა განმავლობაში, სულ უფრო და უფრო გაძნელდა ამ ორის გარჩევა, რადგან ნაციონალური ფორმა შინაარსი გახდა, ხოლო ნაციონალიზმს არ გააჩნდა სხვა შინაარსი, გარდა ფორმის კულტისა. კიდევ უფრო მეტად ავისმომასწავებელი იყო ის, რომ ქვეყნის ლიდერებს სულ უფრო და უფრო გაუძნელდათ იმის განსაზღვრა, თუ რას ნარმოადგენდა მათი „სოციალისტური შინაარსი“, და როდესაც გორბაჩოვმა საბოლოოდ უარყო გაცვეთილი მარქსისტული მრავალსიკვამობა, ერთადერთ ენად კარგად აღესილი და ხანგრძლივი პრაქტიკის მქონე ნაციონალიზმის ენა დარჩა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა რეჟიმის წვლილი ნაციონალისტური მოძრაობის გამონვევაში მარტო „კონსტრუქციული ზომებით“ არ შემოიფარგლებოდა. ის ნაციონალური კულტურების უმაღლესი რანგის მსახურებს აიძულებდა, ნაწილობრივ სხვა ნაციონალური კულტურების თაყვანისმცემლებიც ყოფილიყვნენ. ის ამკვიდრებდა ადმინისტრაციულ იერარქიას, რომელიც ზოგიერთ ეთნიკურ ჯგუფს სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში პრივილეგიურებულ მდგომარეობაში აყენებდა, ის უშუალოდ მონაწილეობდა ნაციონალური პანთეონის შერჩევისა და დამკვიდრებაში, ახდენდა ეთნიკური ჯგუფების იზოლაციას მათი მონათესავე ჯგუფებისაგან და საზღვარგარეთ მათდამი სიმპათიით განწყობილი ერთობებისაგან. ის ახალისებდა მასიურ მიგრაციას, რომელიც გამონვეული იყო მცირე რესურსებისათვის გაჩაღებული მეტოქეობით, ასუსტებდა ნაციონალური ელიტების მომხმარებელთა ბაზას და ბიძგს აძლევდა კონფლიქტს ეთნიკური კვოტების გარშემო. დაბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის ზოგიერთ ნაციას ართმევდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლებას – იმ უფლებას, რომელიც საბჭოთა კავშირის საფუძველს წარმოადგენდა.

ეს მიუთითებს კიდევ ერთ წინააღმდეგობაზე საბჭოთა კავშირის ნაციონალურ პოლიტიკაში: ეს იყო რესპუბლიკური სახელმწიფოებრიობისა და საპასპორტო ნაციონალიზმის თანაარსებობა.¹ პირველის თანხმად, ტერიტორიული სახელმწიფოები ქმნიდნენ ნაციებს, ხოლო მეორე ამტკიცებდა, რომ პრიმორდიალურ ნაციებს შეიძლებოდა ჰქონოდათ საკუთარი სახელმწიფო. პირველი მიდგომის თანახმად, ერთ დღეს, ბელორუსიის ყველა მცხოვრები გახდებოდა (და უნდა გამხდარიყო) ბელორუსი, ხოლო მეორე მიდგომა არაბელორუს მცხოვრებს პირველი მიდგომის საწინააღმდეგო არგუმენტებით აიარალებდა. საბჭოთა ხელისუფლება აღიარებდა ორივე განსაზღვრებას ისე, რომ არასდროს უცდია არც ეთნიკურად განსაზღვრული საბჭოთა ნაციის შექმნა და არც საბჭოთა კავშირის გარდაქმნა რუსულ ნაცია-სახელმწიფოდ. ასე რომ, როდესაც არანაციონალურმა საბჭოთა სახელმწიფომ დაკარგა მისი საბჭოთა მნიშვნელობა, ნაციონალური არასახელმწიფოები ერთადერთ შემკვიდრებელად მოგვევლინენ. ერთადერთ გამონაკლისს რუსეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა. მისი საზღვრები წაიშალა, მისი იდენტობა მკაფიოდ ეთნიკური არ იყო და მისი „სატიტულო“ მცხოვრებნი ძნელად თუ ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან რსფსრ-სა და სსრკ-ს.² პარტიის მეათე ყრილობიდან სამოცდაათი წლის შემდეგ ინდიგენიზაციის პოლიტიკამ მის ლოგიკურ დასასრულს მიაღწია: სხვადასხვა ოთახის მობინადრებმა ჩახერგეს მათი კარებები და დაიწყეს ფანჯრების გამოყენება, ხოლო დიდი ჰოლებისა და სამზარეულოს მცხოვრებნი ცენტრში აღმოჩნდნენ და გაცობით იფხანდნენ კეფას: რა უნდა ექნათ – ეცადათ საკუთრების განახლება თუ კედლებზე კაკუნი დაენყოთ? გაზის მიწოდება გადაეკეტათ თუ მათი „საცხოვრებელი სივრცე“ კერძო ბინად ექციათ?

თარგმანი დავით მაცაბერიძისა

¹ ამ წინააღმდეგობის გამორჩეულად ელევანტური ინტერპრეტაციისთვის იხ: Rogers Brubaker, “Nationhood and the National Question in the Soviet Union and Post-Soviet Eurasia: An Institutionalist Account,” forthcoming in *Theory and Society*.

² Victor Zaslavsky, “The Evolution of Separatism in Soviet Society under Gorbachev,” in Gail W. Lapidus and Victor Zaslavsky, with Philip Goldman, eds, *From Union to Commonwealth: Nationalism and Separatism in the Soviet Republics* (New York: Cambridge University Press, 1992), 83; Leokadiia Drobizheva, “Perestroika and the Ethnic Consciousness of the Russians,” in *ibid.*, 98-111.